

# ლიტერატურული გაზეთი

№19(203) 13 - 26 ოქტომბერი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



პაატა ნაცვლიშვილი

## რკინის ბუშტები

1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და პირიქით

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „ბორბლები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...  
შვიდფრად ბრწყინავს ცისარტყელა – მოზიდული მშვილდი.  
ბრიტანეთის ტახტისათვის ორი პრინცი შვი, დი!  
სანადიროდ წასულიყვნენ გურჯანელნი შვიდნი,  
თეთრად ჰყვავის ალუბალი, ყვითლად ჰყვავის შვინდი,  
„ხიდან ხეზე“... „გაზაფხულის საღამოა მშვიდი“...  
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი...  
დაეტაკა თვალებს თეთრი მკერდის ორი კერტი,  
პატარა პრინცს ესიზმრება დიდი ლეონ ვერტი,  
ჯონ გლენისთვის ანთებულა ავსტრალიის პერტი,  
სერთიფიკატს თხოულობენ, სერთიფიკატს, სერთი...  
დამწერსაც და წამკითხველსაც შეგვენიოს ღმერთი,  
შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი...

IV-V



თუ ამ სტატიას თვალს გავუშტარებთ, რკინის ბუშტების სამგანზომილებიან გამოსახულებას დავინახავთ.



ანტისერგინი

# მოგონებები

ალეკო თუთბერიძე

იმე შედეგი მოყვა. როგორც მაშინ ამბობდნენ, მატარებლის მემანქანეს, გვარად ტაბატაძეს, ხელეობი დაუკარგავს. მგზავრებიც გარკვეულნილად დაზიანებულან. კარლო კალაძე ამტკიცებდა თურმე — მატარებელში უეჭველად სერგო კლდიაშვილი იქნებოდაო.

იმ ზაფხულს ჩვენ მთელი ოჯახით ვისვენებდით ლიკანში. მატარებლის ავარია ახალმომხდარი იყო და დამსვენებელთა ძირითადი სალაპარაკო თემაც, ბუნებრივია, ეს გახლდათ. ზოგიერთი ამ მატარებლით უკან დაბრუნებასაც კი ერიდებოდა. ბაბუა ამშვიდებდა, ამ შემთხვევის შემდეგ მგზავრობა ნამდვილად უფრო უსაფრთხო იქნებოდაო.

საპირველსეკტემბროდ თბილისში გამგზავრებისას ბორჯომის სარკინიგზო სადგურში დავინახეთ, ჩვენს წინა ვაგონში ბატონი სერგო კლდიაშვილი ჩაჯდა. ბაბუას გაელიძა; მეც. თავზე ხელი მომისვა და მითხრა, სისულელეზე ნუ ფიქრობო. მშვიდად ვმგზავრობდით. ქვიშხეთში ნაცნობები შემოგვემატნენ. მოსალამოვდა, გამოვცდით კასპს. არმისული ძეგვთან მატარებელმა მკვეთრად შეანელა სვლა და გაჩერდა — არა ბაქანი, არა სოფელი, არა ცოცხალი არსება. უკაცრიელი გარემო. ვაგონში ატყდა ჩოჩქოლი — სად ვდგავართ, რად ვდგავართო. ვაგონის გამცილებელი დაგვიპირდა, ნავალ და გავიგებო. ნავიდა და აღარ გამოჩნდა. საათზე მეტი გავიდა. ჩამოხნულა. ატყდა პანიკა — დაგვეჯახება უკნიდან მომავალი მატარებელი, ჩავიდეთ ქვევითო. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა გამცილებელი და „დაგვამშვიდა“ — საშობროება არ გვევლის, ელექტროძრავი გამოვიდა მწყობრიდან, მუშაობენ და გაკეთდებაო. სად იყო მაშინ ტაქსების ან ახლობლების მატარებლადან გამოძახების საშუალება, მაგრამ საიდანაც მოგვადგა ორიოდ საბარგო მანქანა და, მგზავრების ნაწილთან ერთად, ნელ-ნელა მოვეწყვეთ საბარგულში. ჩვენს საბარგულში მოხვდა ბატონი სერგო კლდიაშვილიც. დავიძარით. კლდიაშვილმა ბაბუას გაუღიმა და უთხრა: ბატონო საშა (ასე ეძახდნენ ალექსანდრე აბაშელს ახლობლები), „ანტისერგინი“ რომ გქონოდათ, ხომ არ დაგვემართებოდაო ეს ამბავი?!

— ჯერ სახლში არ მივსულვართ, გზაში ვართ, — ნავილულულე მე.

ბაბუამ ნკვირტი მითავაზა.

— დარჩენილ გზას მე გავაკონტროლებ, — ავტორიტეტულად განაცხადა ბატონმა სერგომ.

გულიანად ვიცინეთ. შინ მშვიდობით დავბრუნდით.

აი, ბატონი სერგოს კურიოზებითა და იუმორით სავსე ცხოვრების კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც მახსოვდა და გერონტი ქიქოძის შვილიშვილმა, ვახტანგ მიქელაძემ, დამიდასტურა:

ქვიშხეთში დამსვენებელი მწერლების ჯგუფი სადღაც სურამს იქით რაღაც სადღესასწაულო პურ-მარილზე დაპატიჟეს. იქირავეს საბარგო მანქანა და გაამაყებულეები განთავსდნენ საბარგულში. სერგო არ ჩასვეს — თარსი ხარო და ნავიდნენ. გზაში თურმე სულ ბატონ სერგოზე იცინოდნენ, ჭამოს „ტყვილი“ სუპი და ფაფაო. მშვენიერი ამინდიც ყოფილა და განწყობაც შესაბამისი. და უცებ ტრასიდან მოცილებულ სოფლის დანგრეულ გზაზე მანქანა გაჩერდა და ისე გაჩერდა, მანქანის ქვეშ შემძვრალი მძღოლი დიდხანს ნვალობდა, უჭერდა, ხსნიდა, აკაკუნებდა... ბოლოს თავი გამოყო და თქვა — ველარ ნავალთო. კატასტროფა! მასპინძელ სოფლამდე ფეხით შორია, ცხელა. ჩამომსხდარან თურმე გზისპირზე გამვლელი მანქანის მოლოდინში. სხედან და იცდიან. როდის-როდის შორიდან მანქანის ხმა მოისმა. ნამოცვივდნენ და დაინახეს მათკენ მომავალი საბარგო მანქანა. მანქანის ძარაზე მხოლოდ ერთ კაცი — სერგო კლდიაშვილი იდგა. „არიქა, სერგო, გააჩერე“ — იყვირეს. კლდიაშვილი დაიხარა კაბინისაკენ, რაღაც უთხრა მძღოლს, გაუღიმა კოლეგებს, ქუდი მოიხადა, ხელი დაუქნია და გასწია საქვიფოვ.

მაგრამ, კლდიაშვილი ხომ კლდიაშვილი იყო და არა... გზაშივე გადაუხადა მძღოლს დამატებით თანხა და რომ ჩავიდა, უთქვამს — ნადი და მზეში დარჩენილი მწერლები მოიყვანეო. პურ-მარილის თამადა ბატონი სერგო ყოფილა...

კიდევ ერთი შეხვედრა მახსენდება ბატონ სერგოსთან. ორმოცდაათიან წლებში მთელი თბილისი გაუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ნიკო მარის „იფეტური ოთხელემენტოვანი თეორიის“ მომხრეთა წინააღმდეგ „იბერიულ-კავკასიური ენების თეორიის“ შემქმნელის არნოლდ ჩიქობავას მძაფრ დაპირისპირებას. პოლემიკა დიდხანს გაგრძელდა, გამოქვეყნდა სტალინის ენათმეცნიერული ნაშრომიც. საბოლოოდ, არნოლდ ჩიქობავამ გაიმარჯვა. რუსთაველის პროსპექტზე მამავალთ, მე და ბაბუას, შემოგვეგება ბატონი სერგო კლდიაშვილი. თბილი შეხვედრა, მიკითხვა-მოკითხვა...

— ბატონო საშა, ესლა ერთი ლექსი მითხრე, არ ვიცი ვისია, ოღონდ დროული იყო:

Март ведь недавно был велик,  
Почти что Марксу пара,  
Но Чикобава чик, чик, чик.  
И вот не стало Марра.

რა ადვილად ქრება ადამიანი, — გვითხრა, თავზე ხელი გადამისვა და ნავიდა.

## სურათი

ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ამ რამდენიმე წლის წინათ თავის ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოაქვეყნა დედაჩემის, მედეა აბაშელის მცირე მოგონებები, სადაც ცხოვრების სხვა ეპიზოდებს შორის აღწერა, თუ როგორ შექმნა ვახტანგ კოტეტიშვილმა მეგობრების ვინრო წრიდან ჯგუფი კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე აბაშელისა და მისი შემადგენლობით და 24 წლის აჯანყების სისხლში ჩაბომბის პროტესტის ნიშნად როგორ ჩაიცვეს შავი ჩოხები და დე-

მონსტრაციულად გადაიღეს ფოტოსურათი. აი, მცირე ამონარიდი იმ მოგონებებიდან: „მაგრამ, როგორც კი მოლანდეს ისინი ქუჩაში ხან ერთად და ხან ცალ-ცალკე, მაშინვე ატყდა ერთი ამბავი პრესაში და არა კეთილმოსურნეთა შორის — რას დარდობენო, რას გლოვობენო — სისინებდნენ. ყველამ იცოდა, რასაც გლოვობდნენ. საშიში გახდა ჩოხებში სიარული და ისინი იძულებულნი შეიქნენ, სამოქალაქო ტანისამოსი ჩაეცვათ. მაგრამ დღესაც ეს ფოტოსურათი დარდისა და ვაჟკაცური პროტესტის ნიშანს ატარებს.“

ჩვენს ოჯახში ეს სურათი ათეული წლების განმავლობაში საიდუმლოდ ინახებოდა. მე ვიცოდი მისი არსებობის შესახებ და ჩემი თავმომაბუზრებელი თხოვნების მერე ბაბუა ხანდახან გამოაღებდა საწერი მაგიდის უჯრას, ფრთხილად ამოიღებდა სქელ ქაღალდში გახვეულ, რუდუნებით შენახულ სურათს და მანახებდა. ის იყო ყავისფერი, მუყაოზე ნაბეჭდი სურათი და არა შავ-თეთრი, როგორი სახითაც დღეს არის გავრცელებული. ყოველთვის გაუნელებელი ინტერესით ვათვალიერებდი. კოტეტიშვილის გარდა ყველას ვიცნობდი, მაგრამ სურათი მაინც რაღაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე. ალბათ იმიტომ, რომ ვხვდებოდა — ის რაღაც საიდუმლოებას ატარებდა. არასოდეს მიკითხავს ბაბუასთვის, რატომ ინახავდა ამ სურათს ასე სათუთად, არც მას ვაგუფრთხილებივარ, არსად არაფერი წამომცდენოდა. და ერთხანს კიდევ მეამაყებოდა, რომ ჩემს მეგობრებს შორის მარტო მე ვვლობდი მნიშვნელოვან საიდუმლოს.

ვახუშტი კოტეტიშვილი ჩემი მეგობარი იყო. ჩვენი ოჯახების სიახლოვის გამო ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან შევეამხანავადი, მაგრამ ჩვენი შორეული წარსულის ერთი შეხვედრა განსაკუთრებით დამამხსოვრდა:

გვიანი ვაზაფხულის დღე — ახალგაზრდული უდარდლოობის დრო იყო. ვახუშტი სახლში მოვიწახლულე. იქ დამხვდა ჩემი დედაშვილი ზურაბ ჩხენკელი. ვისხედით აივანზე, ვწრუპავდით ლუდს და ვსაუბრობდით. ძირითადად, ფეხბურთსა და გოგოებზე ვიცინოდით, ვხალისობდით. ბინის შიდა კიბე, იატაკი, მაგიდა ქანდაკებით იყო სავსე — ქალების, მამაკაცების ტორსები, მცირე ფიგურები — მამამისის,



სერგო კლდიაშვილი — ცნობილი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, პუბლიცისტი — გახლდათ „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი და ტიცინ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, დრიგოლ რობაქიძის, ვალერიან გაფრინაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის უახლოესი მეგობარი. ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, მამასთან, დიდ დავით კლდიაშვილთან ერთად პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა. მთელი უმძიმესი ცხოვრება შეუღახავი რეპუტაციით განვლო. ბევრმა ეს ვერ შეძლო.

ბატონი სერგო კლდიაშვილი ოჯახთან ერთად ხშირად ისვენებდა ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ ყიფიანისეულ სახლში. ჩემდა საბედნიეროდ, მას იქ არაერთხელ შევხვედრივარ. ჩემი ახალგაზრდული შთაბეჭდილება მის შესახებ — იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი; ჰქონდა სწორი ხმელი მხრები, დიდი ხელები; გამოირჩეოდა მკვეთრი მოძრაობითა და ხმით. ჰქონდა საოცრად დახვეწილი იუმორის გრძნობა — როცა ის კოლეგების, ნაცნობების ჯგუფში იდგა, აუცილებლად ისმოდა მხიარული შეძახილები და სიცილი. ბატონი სერგო, ძირითადად, ცხოვრებისეულ ამბებს ყვებოდა.

ბატონ ოთარ ჩხეიძის უბადლო ოსტატობით დანერგულ მოგონებებში არის ერთი მოხდენილი, ხალისიანი ეტიუდი: სერგო კლდიაშვილი პროლეტმწერლებს, რომლებიც მისგან დიდი ხანია, მოითხოვდნენ თანამედროვე სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოების გამოქვეყნებას, ერთ ზაფხულს ქვიშხეთში უყვება უკვე დასაბეჭდად მომზადებულ თავის ახალ მოთხრობას. პროლეტმწერლებს მოუსმენიათ და მის დაბეჭდვაზე ხმაურიანი და კატეგორიული უარი განუცხადებიათ. ამ პროცესისთვის უნებურად შორიდან თვალ-ყური უდევნებია გერონტი ქიქოძეს და მოგვიანებით უკითხავს: „რაო, სერგო, დაგინუნეს მოპასხანი?“ მაგრამ იქვე გამოიჩინა, რომ პროლეტმწერლებს უფრო ადრე ბალზაკიც დაუნუნებიათ მისთვის. ასე აცნობდა მათ სერგო კლდიაშვილი მსოფლიო კლასიკოსების შემოქმედებას... მიგიხვდებიანო, სიცილით გაუფრთხილებია ბატონ გერონტის.

და მართლაც, როგორც ჩანს, ბოლოს პროლეტმწერლები მიუხვდნენ კლდიაშვილს და სამაგიერო გადაუხადეს. გაავრცელეს ხმა (ამას უკვე მეც მოვესწარი), რომ სერგო კლდიაშვილი „თარსია“ და თუ საქმეზე მიმავალს შეგხვდებოდათ, ჯიბიდან სასწრაფოდ უნდა ამოგეღოთ პატარა სარკე და მიგეშვირათ კლდიაშვილისთვის — ამით თავიდან აიცილებდით მოსალოდნელ გართულებებს. იმ სარკეს „ანტისერგინი“ ერქვა. ბატონი სერგო „ანტისერგინს“ მსუბუქი იუმორით ეკიდებოდა.

ორმოციანი წლების ბოლოს (მგონი, 1948 წელს) ზაფხულში თბილისი-ბორჯომის მატარებლის საგზაო შემთხვევას მ-



ნიჭიერი კაცის შექმნილი. კედელზე ეკიდა ერთი, მცირე ზომის, მარტივი, მაგრამ ძალიან ლამაზი, გრაფიკული ჩანახატი. ძალიან მომწონდა. უშუალოდ სულ სამი კო-სკი, შორს კავკასიონი (ნეტავ თუ გადაურჩა ხანძარს)\*. ვახუშტი, ბიჭობიდან საინტერესო მოსაუბრე, იმ დღეს განსაკუთრებით მხიარული იყო. თავისი ჩახლეჩილი ხმით გაუთავებლად იმეორებდა ორ აკვირებულ გარითმულ სიტყვას: „აკაცია — ძმაცაცია“. შემდეგ ეს სიტყვები მისი ცნობილი ლექსის მაჟორული აკორდი გახდა. ვიყავით ლაღები და თავისუფლები. სრულიად მოულოდნელად ვახუშტი გაირინდა, ცოტა ხანში წამოდგა, შეგვიძღვა ოთახში, მივიდა ერთ დიდტანიანი ნიგნების თაროსთან, დააცილა ერთმანეთს ორი ნიგნი, გამოიღო იქიდან ცისფერ ქალაქში გახვეული რაღაც თხელი მკვრივი კვადრატის. გახსნა და დაგვანახა სურათი — შავ ჩოხებში გამოწყობილი ოთხეული. სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ გაქვს ასეთი? — მკითხა.  
— მაქვს, — ვუპასუხე.  
ტურნებზე თითი მიიღო, გაახვია სურათი და ჩადო თავის ადგილას. თურმე ვახუშტი კოტეტიშვილიც ბიჭობიდან ფლობდა ამ საიდუმლოს.

— მეც უნდა მქონდეს ეგ სურათი. საშა ბაბუა ჩემი ბაბუაც იყო, — თქვა ზურამი. დაეპირდა.  
მისი ბებია, პოეტ ნოე ჩხიკვაძის მეუღლე, ალექსანდრე აბაშელის მკვიდრი და გახლდათ.

გავიდა წლები. ალექსანდრე აბაშელი გარდაიცვალა. კოტეტიშვილისა არ იყოს, დახვრეტილი მამაჩემის რეაბილიტაციის საბუთიც მომცეს, მაგრამ შერისხული მწერლების მიმართ რაიმე ყურადღების გამოჩენის ნიშან-წყალი კი არ ჩანდა. დავინყე ბაბუას არქივის მომზადება ლიტერატურულ მუზეუმში ჩასაბარებლად. ჩოხოსნების სურათი სულ ხელში მხვდებოდა. გადავწყვიტე, ზურამ ჩხენკელისთვის დანაპირები შემესრულებინა. ჩვენი ეზოს სადარბაზოში კარგა მარკაში დიდი ოთახი ეჭირა ფოტოგრაფ გიორგიას. მასთან ეზოს ბიჭებს კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ჩავუტანე სურათი, ვაჩვენე და ვუთხარი:

— გარიკ, გადამიღე ერთი ცალი, მაგრამ მეტი არ გადაიღო, არ შეიძლება. ჩეკა, ტეკა, რამე, — გავართულე საკითხი.  
— კანქმნა, ალიკ-ჯან. ხოლოთ ეხლა არა მცალია. დატოვე, ზეგ მოდი, ნიღე.  
დავტოვე და ბაკურიანში წავიდა ერთი კვირით. ჩამოვედი, მივედი და რას ვხედავ — გადაუღია სურათი და ვიტრინაში ლამაზად გამოუფენია ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. გავბრაზდი და შევუყვირე:

— გარიკ, რა ქენი ეს, მე ხომ გითხარი, რომ არ შეიძლება.  
— ალიკ-ჯან. რას ამბოფ, ოთხი დღეში ცამეტი სურათი გავყიდე. სულში, ფული გეკუთვნის, ხოლოთ ეხლა არა მაქ.  
ფული, რასაკვირველია, დღემდე მეკუთვნის.  
სურათი მალე გავრცელდა და ამაში უმთავრესი წვლილი ფოტოგრაფ გარიკას მიუძღვის.  
ეს სურათი პირველად სად გამოქვეყნდა და როდის მიენიჭა მას ოფიციალური სტატუსი, არ ვიცი.

არქივობები

ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, და შემდგომში ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, არჩილ კოსტავამ მთხოვა — ქართულ ფოლადზე მომუშავე არქეოლოგებს შემახვედრეო. ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლისას სურდა ქართული ფოლადის დნობის, ჩამოსხმის, ქედვის უძველესი ტექნოლოგიების გაცნობა, შესწავლა-დამუშავება.  
გავიკითხე, მივაგენი. სიღნაღში მუშაობდა არქეოლოგთა ჯგუფი ბატონ კიაზო ფიცხელაურის (ამჟამად აკადემიკოსის) ხელმძღვანელობით. კიაზო ფიცხელაური ჩემს სკოლაში ორი ან სამი კლასით წინ სწავლობდა. ვიფიქრე, რომ მიცნობდა და მიმესვლებოდა.

ჩავედით სიღნაღში. ბატონ კიაზოს გარდა შემოგვხვდნენ ჩემი მეგობრები — გივი ინანიშვილი\*, ბედი შატერაშვილი, თემო მუჯირი, გელა გობეჯიშვილი და სხვები, ჩემთვის შორიდან, მაგრამ ნაცნობი

სახეები. დიდი პატივით მივიღეს. იქვე გაირკვა, რომ საქმიანი საუბარი ვერ შედგებოდა, ერთი სტუმრის პატივსაცემად სუფრა მზადდებოდა. სტუმარი ტიპიურად რუსული გარეგნობის, მაღალი, ჩახსმული, ელევანტურად ჩაცმული მამაკაცი გახლდათ. შალიაპინს ჰგავდა. იქვე გავიგე, რომელიღაც დიდი ინსტიტუტის დირექტორი, მართლაც ღრმად პატივსაცემი, ცნობილი არქეოლოგი, აკადემიკოსი ალექსანდრე დავიდოვიჩი ალექსევი ყოფილა.

სუფრაც აკადემიურად დაინყო — საუბარი ამინდზე, კახეთზე, კახელებზე... კიაზო თამადაშვილი, ენამზებოდა ქართულად და რუსულად. რამდენიმე ჭიქის მერე გივი ინანიშვილმა მშვიდად წამოიწყო კახური მრავალყამიერი, აყვა თემო მუჯირი, გელა გობეჯიშვილი, ბიჭებმაც ბანი თქვეს, ბგერები თანდათან გაივსო, სიმღერა ახმინდა და დარბაისლურად დამთავრდა.

— **Браво, ребята. Браво!** — ჩაილაპარაკა რუსმა სტუმარმა.

კახეთი, ღვინო, სადღეგრძელოები... ჰაერი თანდათან დაიმუხტა... გივი, თემო, გელა, ბანები — დასტეკა ასლანურმა მრავალყამიერმა. სტუმარი ფეხზე ადგა:

— **Браво, ребята. Браво!** — უკვე ხმამაღლა, ალტაცებით წამოიძახა.

მრავალყამიერს შველევო მოყვა. ყველაფერს თითქოს ცეცხლი მოედო. ალექსევიმ სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა და დახვეწილი რუსულად, ჩვენი ინსტიტუტის კარგი ცოდნით, ემოციურად, სიყვარულითა და მაღლიერებით დალია საქართველოს სადღეგრძელი. ჩვენ ტაშით დავაჯიღდოვეთ. ისევ სადღეგრძელოები, ისევ სიმღერები — მთელი სუფრა ერთ საძმოდ გადაიქცა. იგრილა ჩაკრულომ. ყველანი, ვისაც როგორ შეგვეძლო, ავმღერდით. სუფრაზე ემოცია ზღვარს გადაცდა. თითქოს მეტს ვეღარც გავუძლებდით. სწორედ ამ დროს თემო მუჯირი წამოგდა და ყურადღება მიიპყრო.

მოლოდინის სიჩუმემ დაისადგურა. თემო გადაიხარა, აიღო გიტარა და დაიწყო ჩვენი მელოდოური, ყველასათვის უსაყვარლესი თბილისური თუ ქუთაისური სიმღერები — გაიხსენეთ იმხნელები, ციციანთელაც კი. ჩვენი გმირული სულისკვეთება თანდათან პოეტური, ლირიკული გამწყობილებით შეიცვალა. ყველაფერი ძალიან ბუნებრივად ხდებოდა. თემომ ძველი რუსული, სევდაგარეული რომანსები წამოიწყო, რომლის შესრულებაც ბრწყინვალედ გამოსდიოდა. ერთმანეთს მიყვა **Калитка, Ямщик, შემდეგ უფრო აზარტული Чубчик, От — Москвы до Чемсы**, და კიდევ ბევრი სხვა. ჩვენი რუსი სტუმარი თითქოს ლოცვად დაეცა. მგონი, მართლა ჩუმად, ჩურჩულით ლოცულობდა. და ბოლოს, როცა თემომ იმღერა **Гори, гори моя звезда**, ჩვენს სტუმარს თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. ჩემს გვერდით იჯდა. ჩუმად ვუთხარი:

— **Была у вас Россия и что вы с ней сделали.**

— **Но мы и вас за собой потянули,** — მიპასუხა და ხელისგულებით ცრემლი მოიწმინდა.

ამგვარი პასუხის გარდა ყველაფერს ველოდი.

ეს 1980 წლის შემოდგომით, კომუნისტების ზეობის დროს, „სოლენჩნიკი გრუზიაში“ მოხდა. ნეტავ, იგივეს თუ იტყოდა ჩვენი მაშინდელი ძალიან სიმპათიური სტუმარი 10, 20, 25 წლის შემდეგ? არ ვიცი.

ასე დასრულდა არჩილ კოსტავასა და ჩემი საქმიანი ვიზიტი სიღნაღში.

სკოლის სიტოპო

თბილისის ვაჟთა მე-6 (ამჟამად 55-ე) საშუალო სკოლა ჩემი მონაფეოების დროს ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლად მიიჩნეოდა როგორც აკადემიური მოსწრებით, ისე სპორტული მიღწევებითა და პოპულარული, თავმომწონე ბიჭებით. სკოლა დიდი ხნის წინ, 1953 წელს დავამთავრე. აი, ხელის ერთი მოსმით შედგენილი სია ჩემებდა და ჩემზე 2-3 კლასით უფროსი და უმცროსი სკოლელებისა, რომლებიც ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წევრებად ჩამოყალიბდნენ: ჯუმბერ ლომინაძე — აკადემიკოსი; კიაზო ფიცხელაური — აკადემიკოსი; ილია ბარათაშვილი — აკადემიკოსი; ლევან ჯაფარიძე — აკადემი-

კოსი; ნოდარ გურაბანიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; ანზორ სალუქვაძე — ცნობილი პოეტი, სცენარისტი; მამუკა მინდელი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი, დოქტორი, პროფესორი; თენგიზ ფერაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ირაკლი სურგულაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დევი ბერძენიშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გოგი გაჩეჩილაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; თეიმურაზ ბაღდაშვილი — საბჭოთა დროის პოლიტიკური და სამეურნეო დარგის მოღვაწე; ვანიკო მაჭავარიანი — პოპულარული მომღერალი, თბილისის საპატიო მოქალაქე; ოთარ რამიშვილი — თბილისელი ბარდი; გურამ მინაშვილი — ცნობილი კალათბურთელი, „დინამოს“ კაპიტანი, სსრკ-ს მრავალჯგონის ჩემპიონი და ნაკრების წევრი, ევროპის ჩემპიონი; გურამ საღარაძე — მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სსრკ-ს სამგზის ჩემპიონი, და ბოლოს მეც — ალექსანდრე თუთბერიძე — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აქ ვწყვეტ ჩამოთვლას — სატრახბახოდ საქმარისია... სკოლაში, ჩვენ ჩვენს კლასებში ვსწავლობდით, მაშინ თანაბარი ვიყავით; მათ შორის, ეს მომავალში ტიტულოვანი პერსონებიც — ზოგი ხუთოთხობიანი, ზოგი — არა. მეგობრობისათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სწორედ მაშინ ყალიბდება პირველი სამეგობრო წრე (რომელიც ხშირად მთელი სიცოცხლე გრძელდება), ერთმანეთის არჩევანი იმ წლოვანებაში?! ჩემი აზრით, არ ხდება ურთიერთინტელექტუალური სიახლოვის ძიება, მაგრამ არჩევანი, უდაოდ, არ არის შემთხვევითი. სკოლაში ყოველდღიური ურთიერთობა, საერთო ჯგუფური ინტერესები, სწავლა, „მატალო“, ნიგნები, ფეხბურთი, გოგოები, პირველი სიყვარული... ბიჭებს სკოლის ფორმები არ გვიყვარდა, გოგოებს უხდებოდათ. იყო ჩხუბიც, მაგრამ გართულების გარეშე. გვყავდნენ მასწავლებლები, ზოგი მართლაც კარგი... სკოლაში სუფევდა მეგობრული, უფროს-უმცროსობაზე მკაცრად აგებული ურთიერთობა. ჩვენი სკოლელები განსაკუთრებულად ვახლობლობდით მე-7 სკოლის ბიჭებთან. იქაც იყვნენ ძალიან კარგი ბიჭები. საკმარისია სულ მცირე ჩამონათვალი, მაგალითად: მუხრან მაჭავარიანი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ზურაბ კიკნაძე, შოთა ჩანტლაძე, ჯუმბერ ხანთაძე... სკოლაშივე ისახებოდა ჯანსუფ კახიძის ბრწყინვალე კარიერა. მინახავს, სპორტულ დარბაზში, ვაკვეთილების შემდეგ, როგორ ასწავლიდა ჯანო ქართულ სიმღერებს ბიჭების ჯგუფს. ზოგი მათგანი მომავალში ლეგენდარული „შვიდკაცას“ წევრებად მოგვევლინენ.

იმ წლებში საზოგადოება მთლიანად და, მათ შორის, მეცნიერებისა და ხელოვნების ჯერ კიდევ ცოცხალი კორიფეები (მცირე გამოხატულების გარდა, რომელთა ხმას გამძაფრებით ახშობდნენ) ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მრავალწლიანი იძულებითი და მავანთაგან კონფორმისტული მემკვიდრეობის პირობებში. ზევით ჩამოთვლილი ბიჭების — სამოციანელების — თაობამ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ აუტანელი გარემოს დარღვევაში. საზოგადოების თავისუფალი სიტყვა თქვეს და მნიშვნელოვნად შეამოფოთეს ოფიციალური პოეზიამ, პროზამ, მხატვრობამ, კინოხელოვნებამ, თეატრმა სამყარო სრულიად მოულოდნელი კუთხიდან დაგვანახა. სამწუხაროდ, მათგან თითქმის აღარავინაა ვინც დარჩა, ღმერთმა აცოცხლოს. დღეს, მგონი, კიდევ უფრო საჭირონი ხართ, ბიჭებო!

ცხოვრება ბევრად უფრო მდორე იქნებოდა, რომ არა სასაცილო ეპიზოდები, კურიოზები, რომლებიც, საბედნიეროდ, თან ახლავს უკლებლივ ყველა ჩვენგანის გადასახედს...

რობერტ ადამია

ჩემს გვერდით არსებობდა, საქმიანობდა ნიჭიერებითა და კეთილშობილებით

ალბექცილი კაცი, ჩემი კოლეგა, პროფესორი მეტალურგი, აკადემიკოსი რობერტ ადამია.

თავბრუდამხვევი იყო მისი კარიერა: მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი, კათედრის გამგე, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გიორგი ნიკოლაძისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო და საგამომცემლო ორგანიზაციის წევრი. მისი შრომები გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. კათედრასთან მდგარი გამოირჩეოდა ღრმა აზრით, დახვეწილი ფრაზით, მჭერმეტყველებითა და, რაც მთავარია, ემოციურობით. ჰქონდა ფენომენალური მახსოვრობა. შექმლო, ზეპირად ციტირება მთელი გვერდებისა ქართული, რუსი, დასავლეთევროპული, ამერიკული ავტორების კლასიკური თუ თანამედროვე მხატვრული ნაწარმოებებიდან, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური ტრაქტატებიდან, უყვარდა და ესმოდა პოეზია.

ადამიას პიროვნული მომხიბვლელობის ერთ-ერთი თანხმლები თვისება იყო მისი საოცრად სიმპათიური დაბნეულობა, რომელიც ხშირად იწვევდა გარშემომყოფთა ლიმილს, ერთობლივ სიცილს და იქვე მის მიმართ თბილ კეთილგანწყობას.

აი, ერთი მაგალითი:

რობერტი და მე, ჯერ სულ ახალგაზრდები, ზამთრის პირს სუმგაითის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოს დანერგვის მიზნით გავემგზავრეთ, ჯერ მატარებლით ბაქომდე და შემდეგ სამარშრუტო ტაქსით სუმგაითამდე. სუმგაითში აღმოვაჩინეთ, რომ რობერტს აღარ უყვითა დის ნაჩუქარი ფაფუკი, წითელი, ძვირფასი მოჭერის კაშხე. შევწუხდით, გადავქექეთ მთელი ბარგი — არავითარი კვალი. სასწრაფოდ დავგონდით ბაქოში, მივედით სადგურში, მოვებებეთ სათანადარიგო ხაზზე გადაყენებული ჩვენი მატარებელი. ყველა ვაგონი დაკეტილი დაგვხვდა. მატარებლის სიახლოვეს არც ერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. თანამშრომელთა სასადილოში ძლივს მივაკვლიეთ გამცილებელს. მან კატეგორიულად გამოგვიცხადა, რომ არც ერთ უკუკაში მსგავი რამ არ აღმოუჩენია. წამოგვყვა, გაალო ჩვენი ვაგონი, დაგვათვალისწინა. კაშხე ვერ აღმოვაჩინეთ. ბუნებრივია, ვიფიქრეთ, რომ ის გამცილებელმა მიითვისა. რობერტი ძალიან წუხდა, დის საჩუქარს რომ ვერ მოუღარა. დავიარეთ ბაქოს მალაზიები იმ იმედით, სადმე მსგავსი ვიპოვდით. მაგრამ იმ დროს, ასე უბრალოდ, ნაცნობობის გარეშე ვინ მოგართმევდათ დეფიციტურ საქონელს?! გამოსავალი არ იყო და შევიძინეთ უბრალო ბამბის ყელსახვევი. რობერტმა მითხრა — რა ვქნა, ვეტყვი, რომ მეგობარმა მთხოვა და მივეცი. ვი-მუშავეთ სუმგაითში. ყოველ დღე დავდიოდით ქარხანაში, გვქონდა საქმიანი შესხედრები და პურ-მარილებიც აზერბაიჯანულ კოლეგებთან. დავბრუნდით თბილისში და შევეთანხმდით, ამ ამბავს არ გავახმაურებდით.

ზამთარი თითქმის მიილია. ერთ დღეს რობერტი მოდის სამსახურში გაცისკროვნებული, ყელზე შემოხვეული აქვს ის მშვენიერი კაშხე და ჩვენს მიერ შექმნილ ბაქოს არტელის ნაწარმს საჩუქრად მიწვდის. რა მოხდა, სად აღმოაჩინე-მეთქი, ვკითხე. რობერტმა თავი დახარა — ბიჭო, კაშხე პალტოს სახელოში მქონია და დღეს გამოძვრა ეგ ოხერი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მაშინვე გავრცელდა და კარგა ხნის მანძილზე ჩვენი სამეგობროსა და თვით რობერტის სიცილისა და ხარხარის მიზეზი გახდა.

ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ: რობერტი ეთამაშებოდა ჭადრაკს ჩვენი თვის უსაყვარლეს საშა ნოზაძეს. პარტია გართულდა. რობერტი გაბმით ეწევა სიგარეტს. გარშემო დაძაბული სიჩუმეა. უცებ საშას არაადამიანური ყვირილი ისმის. რობერტი მარცხენა ხელით საშას მაჯაზე სიგარეტს აქრობს, მარჯვენით აცხადებს ქიშს. შედეგად — ჩამოიღო პარტია, საშინლად გაფუფქული ხელი, დარცხვნილი რობერტი...



ნატვრანი

ნიგნებისთვის: „სელფები“, „ანდაზები და აქანდაზები“, „ბაბილონის გონდოლა“, „რიმეიქები და რიპეირები“

დაკიდებულან ზეცაში ბალები სემირამიდის, ღვინო-დუღუკი-ქალები ვინატრე, ჩემი რა მიდის!

გარდა ამ ტრადიციულის, მე კიდევ სამი რამ მინდა – კვირაში სამჯერ ბალებში მელოდეს სემირამიდა!

(ფორმითაც და შინაარსითაც) თავსადური ლექსი

ანაბელ ლის

ნიგნებისთვის: „კენტავრები და წყვილტავრები“, „ქალები და ქალაქები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ნიგნები“

შენ ხარ ჩემი და ედგარ პოს გამაერთიანებელი... ჩვენი კოხტა ნიგნებიდან გამო, ერთი, ანაბელ ლი!

ხარისხა

(2017 წლის 11 მაისი. „რელი“-„ატლეთიკო“)

ნიგნებისთვის: „ფეხბურთიერობანი“, „სპორტლექსები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

ნამით უნდა დაივიწყო ამ ცხოვრების ხარახურა, და გრიზმანიც დაივიწყო, აზანზარა ხარისხა რო! ხარი უნდა ითამაშო, თუ გეტყვიან, – ხარი ხარო, თუ გეტყვიან იხარეო, ვალდებულები ხარ, იხარო!

პურის რიგში დანარილი ლექსი

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „სელფები“, „აპოლიტორექტული ადრესები“

ხო გაქრა შუმერი, ხო გაქრა ეგვიპტე, ხო გაქრა თრაკია ან მაკედონია, ათასი წელია მას მერე გასული, ან უფრო მეტია ან მაგოდენია, როდემდე გინდა, რო იძახო, სანყალო, არ მაქო პური და არ მაქო დენია, ზოგისთვის აღდგომა და რენესანსია, ზოგისთვის – წარღვნა და არმაგედონია.

შეპანლი

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

თუ მოგკერძეს ურვა ურიცხვი რო, თუ ცხოვრებამ დაგიფანტა ცხვარი, ობლის კვერი თუ არ გამომცხვარა, შენ მაინც არ ჩამოუშვა ცხვირი!

მაგნოლის მონატრება

ნიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ქალები და ქალაქები“, „გველები და არაგველები“, „მაჯამანი“

რა ჩიტია? გვრიტი? არა. მტრედი? არა. მა გნოლია? ყურადღებას ნუ მიაქცევ მაგის სიტყვებს, მაგ ნოლია! სადაც იდგა, ისევე იქ დგას ჩვენი მონმე მაგნოლია, რომც ვერავინ ვერ მომაგნოს, შენ უნდა მომაგნო, ლია!

ნარკვე წყლის პირს

ნიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ბაბილონის გონდოლა“

როგორი მტკნარი ღამეა, მტკვარიც რა მოკამკამეა, ცას გულზე მთვარე ჰკიოდა, როგორც გონზაგას კამეა

მინი

ნიგნებისთვის: „სელფები“, „აპოლიტორექტული ადრესები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

— არა გრცხვენია, რომ არ ეკუთვნი არც არანაირ უმცირესობას?!


— არა მრცხვენია, რადგან ვეკუთვნი ყველაზე მცირეს – უმწირესობას!

უთავპოლო ლექსი

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „აპოლიტორექტული ადრესები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

აქეთ აფხაზი კითხულობს, იქით კითხულობს ლექსს ოსი, ორივეს მოსწონს კაფია ჭინჭარაულის ლექსოსი.

ახლა „მალბოროს“ ეწევა, ნინათ ნატრული „ლუქსისა“, ადრე „ჟიგულს“ ვერ ეღირსა, ახლა გახედნა „ლექსუსი“.



თუ ამან ქაფი არ მოხსნა, ვერ ამოიღებს ლექს ისა... თავად არ მესმის იდეა ამ უთავპოლო ლექსისა!

გზაგზა სუფრის გადაფანა

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „აპოლიტორექტული ადრესები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „სუმბურები და კალამბურები“

ლალობს იუბილარი, სიტყვას ამბობს თამადა, იგივე ტოლუმბაში – ერთხელ ამერიკაში... ორჯერ იტალიაში... სამჯერ კოლუმბიაში!

დარღვეულია დროთა კავშირი

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „საკენკი“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

ცა ირეკლება რუში, წყალში ღრუბლები თვალე... შენ არ მოკვდები გუშინ! შენ უკვე მოკვდი ხვალე!

პარაზისხვი-1972

ნიგნებისთვის: „ანდაზები და აქანდაზები“, „ბაბილონის გონდოლა“, „სუმბურები და კალამბურები“

აეს ბიჭი – პრიმიანი, აის – ქემელიანია, აეს გოგო – ორივესი – ნაღდი ქამელეონია, გაზეთებში – სკკპ, მუშა, რამე, ლიონია... ამ არაკის მთქმელ-გამგონი რუქაა და ლეონია!



მარსელ ანკოვიჩი, „სიზიფი“ (1974).

ოთხი ლექსი პოლისემიის საილუსტრაციოდ

1. სიზიფს ტოტი

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „აპოლიტორექტული ადრესები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ბაბილონის გონდოლა“

როგორ უნდა მოახერხოთ, რომ ის ტოტი მოახერხოთ ხეს, რომელზეც ზიხართ!

როგორ უნდა აიტანოთ, რომ ეს ქვა ვერ აიტანოთ. სიზიფენი კი ხართ!..

სიზიმარს უნდა უცხადებდეთ, ჯიხადს უნდა უცხადებდეთ სიზმრებსა და ჯიხადთ.

თქვენი უნდა გაიტანოთ, გრენლანდიაც გაიტანოთ! სიზიფენი კი ხართ!..

ტრაკი უნდა დააყენოთ, რომ ძალა არ დააყენოთ მინაქრების ტიხართ!

მაგრამ უნდა აიტანოთ და ქვაც უნდა აიტანოთ... სიზიფენი კი ხართ!..

2. გარდაცვლილი მამოგარის ფოტოზა

თემურ ცაგარელის ხსოვნას

ნიგნებისთვის: „სელფები“, „მოციმციმე არითმია“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

შენ არ იცვლები, შენ არ იცვლები, შენ არ იცვლები, შენ არ იცვლები: არ გაცივლები, არ შეიცივლები, შენ არასოდეს გარდაიცვლები.

3. ვიზალიზარალიზაცია

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „აპოლიტორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

თავი ქუდში დავიგულეთ, ფეხი ფეხზე გადავიდეთ, სადღესო საქმეები სახვალოდ გადავიდეთ... რა ევროპა! ჯერ ვისწავლოთ ქუჩას როგორ გადავიდეთ, არ ჩავიჭრათ გამოცდებზე, შემდეგ კლასში გადავიდეთ!

ნაადრევი სიხარულით ჭკუაზე არ გადავიდეთ!

4. ზამთრის პიზაში

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „სელფები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

თოვლი ფიფქების პასიანსს მიშლის, თვალწინ სევედიან პეიზაჟს მიშლის და ნერვებს მიშლის და გულსაც მიშლის და ხელებს მიშლის და ხელსაც მიშლის და ნასვლას მიშლის და ლოგინს მიშლის და თმებსაც მიშლის და გეგმებს მიშლის და ძლივს მოქსოვილ ბადესაც მიშლის, თოვლში ფეხშველა სიარულს მიშლის, ნიგნებს ჩანიშნულ გვერდებზე მიშლის და წინ თვალწარმტაც ჰორიზონტს მიშლის...

თოვლი ფიფქების პასიანსს მიშლის!

ცდავი და აცდენავი

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „სელფები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „მაჯამანი“

ეცდილობთ, მაგრამ ტყუილად – კეთილ ცდით თუ ავ ცდით – დროში აცდენილები სივრცეშიაც ავცდით...

ჩრდილი ღამით

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „გველები და არაგველები“

და დადგა დილა, როცა ჩრდილი ხეზე მეტია!

დადგა შუადღე, როცა ჩრდილი ხეზე მცირეა!

დადგა საღამო, როცა ჩრდილი ხეზე დიდია!

და დადგა ღამე, როცა ხეებს არა აქვთ ჩრდილი!

დილის გაღლი

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „მაჯამანი“, „გველები და არაგველები“, „კენტავრები და წყვილტავრები“

ასე ხვდება ეს კაცი ყოველ დილა სისხამს – ბევრს არაფერს, უზმოზე მხოლოდ 100 გრამს ისხამს.



**თანხარი, ცანი!**

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითია“, „თანხარ(ა)ნებანი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“

რა გნებავსო, ოქროს თევზმა, მან კი არა მოთხოვა რა, ცხვრებს სამოთხე განუმზადეს, იუარა – მე თხა ვარო, მან ბეთლემი აირჩია, ამჯობინეს მათ ხავერა... მაცხოვარი ყოფილა და ჩვენ გვეგონა მათხოვარი.

**ჯამთრის გა(ნ)მარტავა**

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითია“, „სუმბურები და კალამბურები“, „ანდაზები და აქანდაზები“

ეს გაზაფხული ამ ზამთარს თებერვლის ბოლოს გა(ნ)მარტავს, მერე აივანთ ჩრდილებში მერცხლის ბუდეებს გამართავს.

მერე აღადგენს ბალანსს და მერე აღადგენს სამართალს, მერე კინტოებს მოუხმობს მოჭერისაკენ ქამართა.

სანამ აღადგენს ბალანსს და სანამ აღადგენს სამართალს, მანამ ნაზამთრალ ტოტებზე შაშვი ერთ ამბავს გამართავს.

და სანამ ამას აპირებს, მარტი თავისი შაშვებით, და სანამ გაიპრილებს, გა(ნ)მარტებული დავრჩებით.

**ინტონაციური უარი-მოთხოვნა**

ნიგნისთვის: „გველები და არაგველები“, „სუმბურები და კალამბურები“, „საკენი“

— ღვინოა დაღვებ?  
— არაყ!

**ლოგა-რითმები**

ნიგნებისთვის: „სელფები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“

დადექი და თუ კარგია, ლოგარითმი გარითმე! ვერ გავძლები წვიმითა და თოვლითა და ქარით მე, თუ მისინჯავს ქარი მაჯას, თუ მიწნავს ქარი თმებს, ინტეგრალებს გავრითმავ და გავრითმავ ლოგარითმებს!

**1993**

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „ქალები და ქალაქები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“, „მაჯამანი“, „ბაბილონის გონდოლა“

წუხელ მესიზმრა აბსურდი, ნამდვილი გალიმათია – ყარსი და სოჩა ჩვენია, გაგრა და გალი მათია.

**ერთობლივი კონცერტი**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „სუმბურები და კალამბურები“, „საკენი“, „მოციმციმე არითია“

აჰა, ორი ბალკანელის კიდევ ერთი ხუშტურიცა, ორი გიჟი ერთ სცენაზე – ბრეგოვიჩ და კუსტურიცა?!

**ათასი წლის წინანდელი შაკითხვა**

ნიგნებისთვის: „წიგნები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „საკენი“, „კენტავრები და წყვილტავრები“

ჩვენ ნამდვილი ვართო, თუ გამონაგონი? – ამას გვეკითხება სეი სიონაგონი.

**გმირის შესწავლა ავტორთან**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „წიგნები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“

დონკიხოტმა შააჩერა სერვანტესი (საავედრა), არ მაჰკლავო, თავს გაფიცებ, დულისინეა შაავედრა!

**ქალაქი მარბილაში**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „მოციმციმე არითია“, „ქალები და ქალაქები“, „სუმბურები და კალამბურები“

სულ მინდოდა, ეს ქალაქი ლექსში ყურით მიმეტრია და თაროზე შემომედო, ან ჩამეგდო მაგიდაში, მგონია, რომ აქვს ამ ქალაქს უცნაური სიმეტრია, და მეგრულიც აქვს რაღაცა. აბა, ნახეთ: მოგადიშო!

**ბრაზილიური კენტავრი-1**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „ქალები და ქალაქები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“

რიოდეჟანეიროქირურგია!

**ბრაზილიური კენტავრი-2**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „ქალები და ქალაქები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“

არ დაანგრეოდეჟანეირო!

**რიოდეჟანეირო მეორედ!**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „ქალები და ქალაქები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“

რიოდეჟა... ვიუ!

**ედგარი მეოთხედ**

ნიგნებისთვის: „წიგნები“, „წმანურები და უწმანურები“, „რომიელები და რიპიერები“, „საკენი“

ედგა  
ედგარს –  
მხნეს და  
მედგარს.

**ინტერესი**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „სელფები“, „სუმბურები და კალამბურები“, „წიგნები“, „კენტავრები და წყვილტავრები“

ფეხით ავეყვები აემ ტერასებს –  
სადამდე ავალ, მაინტერესებს.

თვალს გადავაველებ აემ ტარასებს –  
ბულბაც, შევჩენკოც მაინტერესებს.

დაველოდები აიმ ტაროსებს,  
როდის დათბება, მაინტერესებს.

**მეტატექსტი მეტი მეტალონის ფონზე**

ნიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „სუმბურები და კალამბურები“, „საკენი“

მეტალონი მეტი და...  
ქიმერები მომანვინენ :(  
ამ რითმისთვის წყნეთიდან  
ჩამოსულა მემანვინე!

**დადამოთხული გუთნისდადური**


ნიგნებისთვის: „წმანურები და უწმანურები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“, „სუმბურები და კალამბურები“

მაშ, იმან მოთნას, ვისაც ეკუთვნის  
გუთნის დედაც და დედაც მეგუთნის.

**ოცნების ახლანის შიშვება**

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „წმანურები და უწმანურები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“, „საკენი“

ალარასოდეს პატროსნება  
ალარ იქნება მათი ოცნება!



**პირიპითი ანუ ნებატივი-4**

ნიგნებისთვის: „ანდაზები და აქანდაზები“, „მოციმციმე არითია“, „სუმბურები და კალამბურები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

არ მინახავს არაფერი მსგავსი –  
წყალნაღებულს ეჭიდება ხავსი,  
ფიალაა სულსწრაფობით სავსე,  
გატეხილი კვლავ მთელდება ნავსი.

**ლექსოდან ლექსოდ და პირიპით**

ნიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“, „საკენი“, „კენტავრები და წყვილტავრები“

შექმნა ლობჟანიძე ლექსოდ ორეული,  
კვდება სიცილისგან ლექსო დორეული!

**ალაზნის პირას ნათქვამი**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „წმანურები და უწმანურები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „საკენი“

ალარასოდეს მოენატრება ნიუჯერსი და მასაჩუსეტსი,  
გამოვასლევებთ შენს ამერიკელს, როცა ავიყვანთ მასაც  
თუშეთში...

**მდიდარი (ღარიბი) ქვეყანა**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „გველები და არაგველები“, „წმანურები და უწმანურები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“

ეს ქვეყანა ოდითგანვე ზღვით არი და მთით არი,  
ქვეყნად ცოტა ქვეყანაა ამასავით მდიდარი.

ამ ქვეყანას ამ ბოლო დროს შესევინა ღორები,  
ქვეყნად ცოტა ქვეყანაა ამასავით ღარიბი.

**მელანქოლია**

ნიგნებისთვის: „სელფები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „მოციმციმე არითია“, „კენტავრები და წყვილტავრები“

ო, ღმერთს რამდენი მელანი ჰქონია,  
მელნისფრად შეუღებავს მთები,  
მე დამეუფლა მელანქოლია –  
შენი სიშორითა ვთბები.

**ფანჯიშვილა აჭარელი მუსლიმი ცვრიან ბალახა**

ნიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“, „ბაბილონის გონდოლა“, „გველები და არაგველები“, „მაჯამანი“, „რომიელები და როპიერები“

მე მინდა, რომ ეს შიშველი ჩემი ფეხი ვანდო ბალახს...  
სხვა დანარჩენს ვანდობ ალახს.

**შისაკრებთა გადანაცვლება-24**

ნიგნებისთვის: „შესაკრებთა გადანაცვლებანი“, „სელფები“, „მოციმციმე არითია“, „ბორბლები“

მხოლოდ სხეული ბერდება თურმე  
თურმე ბერდება სხეული მხოლოდ  
მხოლოდ სხეული თურმე ბერდება  
ბერდება მხოლოდ სხეული თურმე  
თურმე ბერდება მხოლოდ სხეული  
სხეული თურმე ბერდება მხოლოდ  
მხოლოდ ბერდება სხეული თურმე  
თურმე სხეული ბერდება მხოლოდ  
მხოლოდ ბერდება თურმე სხეული  
სხეული მხოლოდ თურმე ბერდება  
ბერდება თურმე მხოლოდ სხეული  
სხეული მხოლოდ ბერდება თურმე

და ასე შემდეგ სრულ სიბერემდე...

**აკლქტიკური მაჯამა 90-იანებიდან**

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „წიგნები“, „მაჯამანი“, „კენტავრები და წყვილტავრები“

ფანჯარაში მოჩანს ბანკი,  
ბანკი ნატრობს ფულს და ნეონს,  
ბანკს გვიქვია „საფოსტო“...  
დილოგი სანთლის შუქზე:  
— რას კითხულობ? ანაკრეონს?  
— საფოს, ტო!

**გუდაური**

ნიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“, „სელფები“, „სუმბურები და კალამბურები“, „საკენი“

სათხილამურო  
სად ხარ, ამურო?! —  
მკითხა ლამარამ  
მოთხილამურემ.



ქოჭბანი გაპარული წლები

14.07.2010. არავისგან მესწავლება, ზედმინეებით კარგად ვიცი — ჩემს დანაკარგულ ჩანაწერებსა და ნაუცბათევე, თავში მყისიერად გაელვებულ ლექსთა სტრიქონებს (უმრავლესობა გზად მიმავალს მეძალეება) რაიმე თვალსაჩინო ლიტერატურული ღირსება ნამდვილად არ გააჩნია, მაგრამ ერთად შეკრების, გამთლიანების შემთხვევაში, ყველაფერი ეს საერთო, მეტყველ სურათად გადაიშლება. თუმცა ცხოვრებისეული მოვლენებისგან თითქმის განზე ვდგავარ, შეძლებისდაგვარად განაპირებული, ბევრ რამეში არ ჩამიხედავს (ანკი ვინ მიმისვებდა და დამაცლიდა?), მაგრამ ჩემი დიდ-პატარა რვეულები უთუოდ გამოდგება საიმისოდ, აჩვენოს — თუ რა დღეში იყო ყოველად უბედური საქართველო „ნითელი იმპერიის“ დაშლამდე და იმ უცარი დანგრევის შემდგომ წლებში, როცა ბნელმა ძალებმა თავი აიშვეს და შინაურ მოლაღატეთა ხელშეწყობით, ამდენი სამინილება დაგვმართეს — ტერიტორიით და ფიზიკურადაც თითქმის განახევრდით. ჩემი მიდრეკილებიდან გამომდინარე, პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი (სადა გვყავს ნამდვილი, პატიოსანი, ჭკუასაკითხავი პოლიტიკოსები?) და ამდენად, უფრო ადრე ჩაფიქრებული და აქამდე განუხორციელებელი ნიგნების ბედი მანუხებდა. ერთ-ერთი, რაც მტანჯავს, დღემდე ცალკეულ ფურცლებად ვება ყუთში ჩატკეპნილი მოზრდილი, სანახევროდ პროზაული პოემა — „მუხლი“ — (ჩემს წარმომავლობაზე, მინად ქცეულ წინაპართა ნაკვალევზე, იმაზე, რომელთა შთამომავალიც შემთხვევით მე ვარ), რომელსაც თხუთმეტ-ოც წელიწადზე მეტია, სამველი ვეღარ დავაყენე. ფურცლის ნახევრე შემორჩენილი ეს ჩანაწერებიც, ჩემი უთავბოლოების მამხილებელი შვიდი წლის (2003 წლის ზაფხული) წინანდელია და სწორედ ამ ეფემერული პოემის დაუმთავრებლობაზე ნუხილს გამობხატავს. გადასაგდებად დამეჩანა და მომაცქეს უცვლელად, რათა თავს ერთხელ კიდევ შევახსენო, რომ ამდენი გაჭიანურება, ქოჭბანი სიკეთეს ვერ მოიტანს:

„ახლა გამიჭირდება თქმა იმისა, გრაფიკულად ჩამოქნის, განხორციელების მერე რა სახე და ფორმა მიეცემა ჩემს არცთუ მთლად ორიგინალურ, გაჯახირებულ ჩანაწერს. ერთი რამ წინასწარ შემიძლია განვაცხადო — გატკეპნილი გზით არ ვივლი და შევეცდები, კომპოზიციურად მაინც ისე დავალაგო, შევკრა სათქმელი, ძალდაუტანებლად იკითხებოდეს, სიყალბე არ დაეჭყოს. მიუხედავად უკიდურესი სასონარკვეთისა, რისი მიზეზიც ყოველთვის მქონდა, მნადს, სულიერად გაამდიდროს და აამაღლოს წამკითხველი. თუკი მას ვერ მივალნიე, ჩემ წვალბას არავითარი აზრი არ ექნება.

გამჭოლი განწყობილება, ძირითადი მიზანდასახულობა, ერთ ძაფზე ასხმულმა სურათებმა უნდა გამოსცეს. მრავალსიტყვაობა, სათქმელის განვლვა, ასეთ დროს, ყველაზე მეტი ზიანის მომტანია. რამდენადაც შემეძლება, ცდას არ დავაკლებ, ძალას არ დავიშურებ, რათა სტრიქონებს სიმკვრივე, ნაჭედობა არ მოაკლდეს, ოსტატის ხელი ეტყობოდეს“.

ამკარა — მოთხოვნები საკმაოდ მკაცრი, უშეღავათოა და არაფრის დათმობას აღარ ვაპირებ, წლის ბოლომდე უსათუოდ უნდა მოვუფრინო კისერი ზედ კეფაზე დაბჯენილ ამ ათასწიანად გატკობილ მაჯლაჯუნას. ბევრი რამე უნდა მოვასწრო, ვიდრე სამოცდათხუთმეტი წელი, ვეებერთელა, შემზანზარებელი ასაკი შემისრულდება. ამასთანავე, ამავე თვეში უნდა დავამთავრო წერილი ფრიდონ ხალვაშის ორმოცისათვის, ვისმა სიკვდილმაც საშინლად დამწყვიტა გული, გამაღარიბა.

მისი დასაფლავების მერე ბათუმიდან ჩამოსულმა ერთმა კაცმა მითხრა — ფრიდონს უკანასკნელ სტადიაში ჰქონია წინამდებარე ჯირკვლის (ადენომა) კიბო, მეტეტაზეები მოსდებია მთელ სხეულში, ფეხი იმან გაუჭერა და კიდევ იმსხვერპლაო; ხუთი წლით ადრე რომ გაგვეგო ეს ამბავი, სხვანაირი, გადამკვანძავი ოპერაცია გაუკეთებოდა და ასეთი საფრთხე აღარ შეექმნებოდაო.

ფრიდონთან ათეული წლების მანძილზე გულითადად ვმეგობრობდი, უფ-

როს ძმად მივიჩნევი. ამაზე არაერთხელ დამინერია. დალუპვამდე რამდენიმე თვით ადრე მითხრა, ტაო-კლარჯეთი უნდა მოგატარო, იქ ალალი მასპინძლები მყავს, იქაურ ქართველებს, ჩვენებურებს გაგაცნობო. დასანანი, რომ ეს დანაპირები აუსრულებელი დარჩა. ბევრს ნუხდა — ზემო აჭარაში ისლამის დიდი მოძალეებაა, რაც ცუდად მესახება, ჩვენს კუთხეს მეტი მიხედვა და ყურადღება ჭირდებაო. ფრიდონ ხალვაში ძალიან დააკლდა მთელ საქართველოს და რაც მეტი დრო გავა, ამ დანაკარგის უფრო და უფრო მწვავედ ვიგრძნობო.

ემზარ კვიციანი

რქანითელის მტეჰანი



ქელის სურამიძე

27.03.2011. ეს ოცდაათი წლის წინანდელი შთაბეჭდილება თუ შეგრძნება მაინც იქნება, ცოტაზე მეტად უცნაური, რამდენადმე ავადმყოფურიც კი, მაგრამ ადამიანთა ყოველდღიურ ყოფასთან რალაცით ახლოს მდგომი და ძნელად დასავიწყებელი.

ადრიანი შემოდგომის მზიანი, თბილი დღე ქარვისფრად იღვინებოდა. დაკრძალვაზე ვიყავი, ოპერის უკან, თეატრალური ქუჩის პატარა ჩიხში, სადაც ერთ დროს დეიდაჩემი, ასმათ იმნაძე ცხოვრობდა ქმარ-შვილთან ერთად და მათთან დედაჩემი და მე (მამა დაპატიმრებული მყავდა) ხშირად დავდიოდით. ყოველი ბზარი და აგური ვიცოდი იმ უზნის მოშიშვლებული კედლებისა.

იქამად, როგორც აღვნიშნე, ერთი ახლობლის, ადრე საკმაოდ დიდი თანამდებობის კაცის, მამის დაკრძალვას ვესწრებოდი. განსვენებულმა, მეტად სახიფათო დროში შუამავლობა იკისრა და ვილაცხას ფული გადასცა. ეს ამბავი გახმაურდა. თანხის მიმტანი ციხეში ჩასვეს. შვილიც დაიხსაჯა, სამსახურის გამოცვლა მოუხდა, დააქვეითეს. შუამავალი რამდენიმე წელიწადს იჯდა საპატიმროში და იქიდან გამოსვლის მერე, დაუძღვრებულს, დიდხანს აღარ უცოცხლია. მათი ოჯახი მაინც შეძლებულად, წელგამართულად გამოიყურებოდა, მაგრამ უბედურებამ, რომელსაც იშვიათად ძინავს, ახლა სხვა მხრიდან შემოუტია საწყლებს. განსვენებულის ერთადერთი მერე, ყოველმხრივ საამაყო, საუცხოო გარეგნობის შვილი ავთვისებიანი, გაურკვეველი წარმომავლობის რევმატიზმი შეეყარა. დროდადრო საავადმყოფოში ანვენდნენ, მკურნალობას არ აკლებდნენ; არაფერი ეშველა: ხელის თითები სითხედ გამოყოფილმა მარილმა დაუკვანჩხა და სახსრები გაუნადგურა, ადგომა და დაჯდომა უჭირდა. ორმოცდაათ წელს ძლივს გადაშორდა და გარდაიცვალა. მისმა, ასევე ლამაზმა ქვრივმა კარგა ხანს გაძლო. სამიოდე წლის წინ, სამოცდაათს მიღწეულს, ფილტვების ანთება დაემართა, მიწვეულმა ექიმებმა შესაფერისად ვერ მიხედეს (ასეთი რამ არც ისე იშვიათად ხდება) და, საავადმყოფოში გადაყვანილი, უპაერობისგან გაიგუდა. დაძინებულს გავდა თეთრად გასუდრული, პირმშვენიერი, პანაშვიდზე როცა მივედი. ქმრის გვერდით დაიდო სამუდამო ბინა, ვერეს ხევის გადაწყურე საბურთალოს სასაფლაოს ვერ-

დობზე. სასურველად დაოჯახებული ქალვაჟი კი დატოვეს — ფიქრის გორაზე ცხოვრობდნენ მაღალჭერიან, ნათელ ბინაში. ანი რალას მივალ, ჩემი მომლოდინე არავინ დამხვდება. გუნებას მიშხამავს ისეთი რამეების გახსენება, რასაც აღარაფერი ეშველება...

მაშინ კი (ისევე დანყებულ ამბავს უნდა მიეზურუნდე) შემოდგომის იმ გაბადრულ დღეს ოჯახის უფროსს ასაფლავებდნენ და მწუხარებისგან გაბურბულალებული, მისი სიკოხტავის მოყვარული მეუღლე სამძიმარს იღებდა. მაღალი, მუქი თავლის სანთ-

მჭადას და სულგუნს, ნადულას და ვკალას ვწურობ. ლიმონათებიდან მსხალსა და ლიმონს ვრჩებო. ევროპულად დაყენებული, საეჭვოდ კრიალა თეთრი ღვინო არ მიყვარს — ნაბლისფერ ნარაფს ვამჯობინებ, გლეხურს, ქვევრის სიგრილე და გემო რომ დაკრავს.

ისე, დიდი უმსგავსობა კია — კაცი საბოლოო გზაზე გასაყენებლად არის გამზადებული, უძრავ, გაყინულ სახეზე უკანასკნელად უნდა აუკიფდეს ჩამავალი მზის სხივთა დახრილი კონა და ხალხი უკვე ჭამა-სმაზე ფიქრობს; როგორც უკვე ითქვა, წინასწარ არიან გაფრთხილებულები, სად იქნება გაშლილი ჭირის სუფრა, რომელზედაც არაერთი დადარაჯებული, ჭირისუფალთათვის სრულიად უცნობი, დაუპატიჟებლად მოიხვედრებს თავს და არავითარ უხერხულობას არ იგრძნობს.

ბევრი ჭეშმარიტი შემოქმედის ნაწერი წამიკითხავს (იმათ როგორ შეეფერებოდა), სადაც ფანტაზიას კიდევ, ნაპირი არ უჩანდა, მაგრამ ეს ცოტა განსხვავებული შემთხვევა გახლდათ. მეეჭვება, ამ ქვეყანაზე ყოფილიყო ვინმე, რომ მიცვალებულის დასამარხი ჭურჭელი წყალზე მოტივტივე ბაიდად მოსჩვენებოდა და მისი ფსკერი ნაირნაირი, სხვადასხვა ჯიშის, ფერისა და მოყვანილობის, პირის ჩამაგემრიელებელი თევზებით მოფენილი ჰგონებოდა (ბარემ აქვე გავამხელ — იგია თავი და თავი მიზეზი, სულის მოსახსენიებელ სუფრას რომ აწყობენ და მეც, უეჭველად ამან წამიბიძგა). ვერაფრით ვერ მიმხვდარვარ, რისთვის დამსაჯა ბუნებამ ასე. ბევრი რამ, აქამდე ყოველად უმიზეზოდ რომ მომლანდებია, შიშის გამო, არც გამიხვლია.

სანთლის შიშურაპი

13.08.2016. როდესაც რაიმე შემთხვევა ან შთაბეჭდილება ხშირად მახსენდება, არ მეშვეება და დავინყებას აღარ ნებდება, იძულებული ვხდები, მიეზურუნდე — რამდენადაც მომიხერხდება, აღვადგინო.

ჩვენება თუ მოლანდება, შემამფოთებლად რომ წაგავდა სინადვილეს, კარგა ხნის წინანდელია, ზუსტი თარიღის დადგენაც შეიძლება. ეს იყო საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორის, „ჯარისკაცის მამის“ გადაამლების, რეზო ჩხეიძის დაკრძალვის დღე. მისი ცხედარი სამების ტაძარში ესვენა და მივედი, რათა უკანასკნელი პატივი მიმეგო ადამიანისა და ხელოვანისთვის, ვინაც პატიოსნად განვლო ცხოვრების საკმაოდ რთული და გრძელი გზა. ისიც აღსანიშნავია — რეზო ჩხეიძე მწერლების ოჯახში და მწერლურ გარემოცვაში აღიზარდა (დემნა შენგელია ბიძად ერგებოდა), რასაც უკვლოდ არ ჩაუვლია. ბუნებრივია, გამოსვენებისას, მაღალ გუმბათქვეშ უამრავი ახლობელი და ნაცნობი ირეოდა, მაგრამ აქ მათზე არ ვაპირებ ლაპარაკს.

გვერდითა კარიდან შესულს, ერთ-ერთ სვეტთან მსუქანი, სათვალისანი, გამელოტებული, თეთრი პირისკანის, სამოცდაათს გადაშორებული კაცი შემეფეთა (სატელევიზიო დებატებში წარმატებულ ბიზნესმენად ხშირად უხსენებია) და ჩემდა უნებურად, დავაკვირდი. არ ვიცი, ორგვლივ მოლიცინეცე მუქისა თუ სხვა, მოულოდნელი ეფექტის ბრალი იყო, მომეჩვენა, რომ იმ კაცს სახე — აპრიალეული ლოყები, ცხვირი, ნიკაპი, ყვრიმალეები, შუბლი (ალბათ დანარჩენი, დაფარული ნაკვთები) მთლიანად სანთლისა ჰქონდა, და მარმარილო ფართო ფილებზე, სადაცაა, ღვეთვას დაიწყებდა. თანაც მთელ დარბაზში (თავისთავად ცხადია, გარდაცვლილის შემადლებულ კუბოსთანაც) ასობით დიდ-პატარა სანთელი კიაფობდა და ცხელ ცრემლებს აღვარღვალედა. უთუოდ იმ პირველი, გაუჩინარებული შეხვედრის გამო მოხდა, რომ დანარჩენი მოსიარულენიც სანთლისგან ჩამოქნილად მესახებოდნენ და საკმარისი იყო, მათთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, მაშინვე ელვის სისწრაფით აბრიალდებოდნენ.

ადამიანის ხორცი რომ ხელად იტაცებს ალს, ჩემს თავზედაც გამომიცდია, როცა ასანთის ღერი უგერგილოდ გამიკრავს და თითი დამწყვია. აუტანლად მტკივნეულია, შიგ ტვინში გირტყამს. წამით წარმოვიდგინოთ, რას განიცდიდნენ ერთიკოსებად გამოცხადებულები, რომელთაც უღმობელო ინკვიზიციის განაჩენით ანდა ველური,



გაბორობული ბრბოს ნებით, კოცონზე დასმულს ბუგავდენენ. გავიხსენოთ ჯირო-ლამო სავონაროლა, ჯორდანო ბრუნო, დეკანოზი აბაკუმი, სხვები და სხვები. ეს ჯოჯოხეთური სისასტიკეები მხოლოდ შუასაუკუნეებში როდი ხდებოდა, სისხლიანმა მეოცე საუკუნემაც ასეთ სიმხეცეთა უთვალავი მაგალითი დატოვა. თუნდაც ლეო ქიჩინელის გენიალური მოთხრობის პროტოტიპი თამუშ ემხვარი მოვიგონოთ, კაციჭამია, ცოფიანმა ბოლშევიკმა მეზღვაურებმა გემის საქვაბეში ცოცხლად რომ დაწვეს.

არ მაინცდება ჩემი უღვთოდ დაღუპული (რამდენის შექმნა მოასწრო ოცდაექვსი წლისამ), უდიდესი ნიჭის მწერლის გურამ რჩეულიშვილის ერთი დღიური, იმროინდელი, როცა იგი საშოფრო კურსებზე დადიოდა. ის დღიური ჩემს ხელთ იყო. „ცისკარში“ მისი დაბეჭდვა გაძნელდა. გურამ ფანჯიკიძეს გადავცე, იმჟამად ქუთაისის ალმანახ „განთიადის“ რედაქტორს, მაგრამ ვერც მან გაბედა მისი მთლიანად გამოქვეყნება, ერთი უკეთური პიროვნების, რედკოლეგიის წევრის რჩევით, ტექსტის შუა ნაწილი ამოიღო.

გურამ რჩეულიშვილს უცვლელად, სიტყვასიტყვით მოჰყავდა იმ კურსებზე გაცხობილი გაქართველებული ქისტის, იბას (გვარი აღარ მახსოვს) მონათხრობი, ვინც თავისი ცნობიერებით პირნაყარდნილი რასისტი იყო. მეორე ფსოფლოო ომის დროს ყმანვილი იბა ერთ ფანჯიკოს გერმანელს გადაუბირებდა. გერმანელები ჩრდილო კავკასიის პატარა-პატარა ტომებთან შეუნელებელ აგიტაციას სწევდნენ, არიელეზად, მოკავშირეებად აცხადებდნენ მათ. ეს მომენტი სამაგალითო ფსიქოლოგიური სიღრმით, შეუმცდარად ჰქონდა ახსნილი გურამ რჩეულიშვილს — „ჩვენ და გერმანია!“ — ხშირად გაიძახოდნენ თურმე ისინი. ნამიკითხავს საზღვარგარეთ გადასული ჩრდილო კავკასიელი პოლიტოლოგის აბდურაჰმან ავთარხანოვის რამდენიმე შთამბეჭდავი წიგნი საბჭოთა ტოტალიტარიზმის შემზარად არსზე. ამ წიგნებმა ჩვენში გასული საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლებში შემოაღწია და გურამ რჩეულიშვილისთვის სრულიად უცნობი იყო.

მისი დღიურის გმირი, ხსენებული ქისტი დაუფარავად ყვებოდა ნაცნობი გერმანელის ნაამბობს. პაპამისი, გვარად, მგონი, შტოლცი, რომელიღაც შეთქმულების მონაწილე ყოფილა. დაუჭერიათ და კოცონზე დაწვა მიუსჯიათ, ხალხის დასანახად. გერმანელი დამსწრესავით ყველა, სანამებლად გაყვანილ წინაპარს როგორ შეუდრეკლად ეჭირა თავი, სახეზე კუნთი არ შერხევიდა. ბოლომდე გაუტეხელი, აბობოქრებულ ცეცხლზე ისე აფეთქებულა, ერთი გმინვაც არ დასცდენია. ფაშისტს ეამაყებოდა, რომ ასეთი კერკეტი წინაპარი ჰყავდა.

გურამ რჩეულიშვილს უჩვეულო ძალმოსილებითა და შთაგონებით აქვს აღწერილი კოცონზე დაწვის ეპიზოდი და ძალზე დასანანი, რომ მწერლის თხზულებათა მეხუთე ტომში ჩემს ხელთ ნაჭერი დღიური ნაკლულოვნად, ამ ეპიზოდის გარეშე დაბეჭდილი (ზედმინევენით მორიდებული ებრაელი ბიჭის აბრამ ხაიმაშვილის და გურამის უბნელი ლოთი და მანანალა რუსის დიდოსტატურად დახატული პორტრეტები კი თითქმის ხელუხლებელია). უთუოდ სასურველია თავდაპირველი დედნის მოძებნა.

საერთოდაც, გურამ რჩეულიშვილი ბევრს, და უღრმესი განცდით აღსავსე, უკიდურესი პირდაპირობით, წერდა სიკვდილზე. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტს (1956 წლის 19 აგვისტო) ყოველგვარი სენტიმენტალობა უკუგადებული აქვს და უცნაური რამ ჩაუნერია:

„ხშირად მინატრია ხოლმე ჩემთვის, სხვისთვისაც გამიზიარებია, ნეტავი მომკლა და ჩემს დაკრძალვას შორიდან მაყურებინა-მეთქი. ვინ წავა, ვინ მოვა, ვინ როგორ მიგლოვებს? აი, უაღრესად საინტერესო ამბავი. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ შეუძლებელია. ჰმ!!! მინც რა სულელია კაცი: ერთი ბედნიერება აქვს, რომ თავის სიკვდილს ვერა ნახავს და ამაზეც კი დარდობს...“

თავისი მართლაც გრანდიოზული გასვენება რომ ეხილა (მთელი თბილისის ბიჭებს, გრძელი სახელოებიდან დაწყებული, შავი ნაჭრით შესუდრული მისი კუბო მხარზე გადაებული მიჰქონდა ვაკის სასა-

ფლაოსკენ), გული სიამაყით აევსებოდა, მაგრამ ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, რალას არ მივცემდით, იმ ავად მოსაგონებელ ზაფხულს, ქართული მწერლობისთვის ესოდენ საბედისწერო და სამოციანელთა თაობის თავზარდამცემი ტრაგედია როგორმე რომ აგვშორებოდა.

გურამ რჩეულიშვილისთანაბოლომდე გახსნილი, შესაშურად გულახდილი, მართალი მწერალი ქართულ ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება. ენა აღსარების უშუალობას არის მორგებული. ამდენ თვითგვემას, საკუთარი თავის დაუნდობლად გამათრახებას ვერავის ნააზრევში ნაივითხავთ. მისი ნუხილი არასოდეს არაა მოგონილი, უილაჯო ნუნუნს მიმგვანებული. ამის დასტურია ეს სინანულად დაღვრილი ნამოძახილი: „ღმერთო, რა დაგიშავე, რომ წერა დამაწყებინე! ვერ გამოიქვრებია რამე, რომ ჩანერა არ მომინდეს ან უბრალოდ ან ლექსად, ან მოთხრობად — ნამდვილი ტანჯვაა, რომელსაც თავს ვერ დავაღწევ, როგორც შერაკლე თავის თორმეტ დავალებას“.

სხვაგან ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს, ხაზგასმულად ტრაგიკულ ფუნქციას ანიჭებს: „მე წერას უდიდესი მკვლელობის ტოლად მივიჩნევ თუ უფრო მეტად არა. ჩემთვის ეს საშინელი ნამებაა — ყველა დაჯდომა, ყველა სიმათლე — მაგრამ მე ეს მჭირდება იმისთვის, რომ ჩემ თავთან მართლის თქმის უფლება მოვიპოვო“.

თავისი დაუფგრომელი, თავდაუზოგავად გამეტებული სიცოცხლის ბოლო დღემდე ამ უფლების მოსაპოვებლად აწყდებოდა ათასნაირ ჯებირებსა და ხერგილებს. რომელი ჭეშმარიტი შემოქმედი არ ინატრებდა მისეული სანუკვარი მიზნის მიღწევას: „ჩემი იდეალია, დავწერო ისეთი რამე, რომლის ნაკითხვა მე თვითონ ამბატირებს“.

გაუზზარავი კლდისგან, გრანიტისგან ნათალი, მარადისობისკენ გაჭრილი მზეჭაბუკის, „ბათარეკა ჭინჭარაულის“ დამწერის აცრემლება კი ძნელზე ძნელი იყო. ტაციან ტაბიძის თქმით არ იყოს, მას დაბადებდნენ, „გაუხედნავი კვიცის“ შემართება დაჰყვა.

გურამ რჩეულიშვილის ნამდვილი ფასი და სიმაღლე (მისი დაღუპვიდან ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული) ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის.

ახლა მცირე ხნით, ისევ სამების გაჩირაღდნებულსა და ყრუდ მოგუგუნე ტაძარში გადავინაცვლებ. უნდა ვთქვა, ცუდად მხდის ძვირფასი, ორნამენტებიანი, შავად მოელვარე, ზემოდან შუშადატანებული, დახუფული ჭურჭელი, სადაც მიცვალბულს სუფთად გაპარსული სახე მოუჩანს (მეტად აღარავინ შეეხება მის გაქვავებულ ნაკეთებს). შემანუხებელი შეგრძნება მეუფლება და ასე მგონია, განსვენებულს იქ, უჰაერობისაგან, სული ეხუთება. ასეთ დროს ყოველთვის ვერიდები, გალიგვებულ ცხედარს დავეხედო. ვინმემ შეიძლება დამქაჩოს, შემძახოს — შეშლილხარ, ჩემო კეთილო, სად გაგონილა გავარდნილი სულის დახუთვა?! ამის მთქმელი, თავის მხრივ, მართალი იქნება, მაგრამ მეც არაფერს ვიგონებ; ასეთი შემადრწუნებელი განცდა ნამდვილად მიჩნდება და ვერ დავმაღლე, გავამხილე. გაუქმებულ-გათხელებული, უჰაეროდ დარჩენილი, გაციცქნილი ნესტოების დარად არაფერი მთრგუნავს და მანაღვლებს — სანთელივით გასდის ლანდი.

რეზო ჩხეიძეს კარგად ვიცნობდი. რამდენჯერმე კიდევაც გვისაუბრია და მუდამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩენია. მის ჯიუტ ხასიათზე ბევრი მქონდა გაგონილი კინოსტუდიაში წლობით ნამსახურები ჩემი უახლოესი მეგობრის რეზო ჭეიშვილისაგან, ვისაც ხშირად უნევდა ნარმოებაში ჩაშვებულ სცენარებზე დამატებითი მუშაობა. რეზო მიყვებოდა, მის უფროს სეხნიას როგორი რკინისებური დისციპლინა ჰქონია დამყარებული გადასაღებ მოედანზე და ამ სიტყვაშეუბრუნებელი სიმკაცრის გამო, სისასტიკით განთქმული სამხრეთამერიკელი დიტატორის, საარაკო დესპოტის სახელიც კი შეარქვეს — ზურგსუკან, ჩუმ-ჩუმად ტრუხილოს ეძახდნენ და არ შეიძლებოდა, ეს არ სცოდნოდა.

რამდენადაც მახსოვს, იუზა ყაჭვიშვილის (მის გვარს წინ ყა ჰქონდა დამატებული, თორემ ისიც ჭეიშვილი იქნებოდა)

მოთხრობის, „ზღვის ლომის“, მიხედვით რეზო ჩხეიძე ფილმს იღებდა. მთავარი როლის შემსრულებლად სერგო ზაქარიაძე მიიწვია. გადაღების მონადინე, ინიციატორი კინოსტუდიის მაშინდელი დირექტორი, ყველას ხელშემწყობი და დამხმარე, დიდად განათლებული პიროვნება მიხილ კვესელავა გახლდათ.

რეზო ჭეიშვილი რამდენიმე თვეს იყო მიმაგრებული ამ ჯგუფთან და ეს შემთხვევა კიდევაც გამოიყენა — მოთხრობა გააშანშალა ამ კინოგადაღებაზე. ადვილად მიხვედებოდა.

(გარეგნობა, ჩაცმულობა, მუშაობის სტილი, ფარფლებიანი საზაფხულო ქუდი, გადაღების შუალედებში ტრანზისტორის ჩართვა და სხვა წერილობები), რეჟისორში ამკარად რეზო ჩხეიძე შეიცნობოდა. ერთგან ისიც ეწერა — მთელ ჯგუფში ყველას მაინც იგი ჯობდაო. ეტყობა, ამ ფრაზამ კეთილად განაწყო მწერლის კუმტი, სიტყვაძუნნი სეხნია და მოთხრობაზე არავისთან უთქვამს აუგი, პირიქით, მოწონებია და კითხვისას ბევრიც უცინია.

თვითონაც მიკვირს, რითი დავიწყე და რას რა მივადევნე. ასე ხშირად მემართება. მთავარი ძაფის (იქნებ არც მქონია) მიყოლა მიჭირს და მიხვეულ-მოხვეულში გადავდივარ, ვიკარგები, რაც უკვე თვისებად მექცა. ამას აღარაფერი ეშველება. ვინ იცის, სამომავლოდ კიდევ რა ყოფაში ჩამავდებს, რამდენ გაუთვალისწინებელ ნვალეზას გადავმყრის ჩემი ახირებული ჩვევა.

იშვიათად ხდება, სინამდვილისმიღმა რომ ძალმიძს გახედვა და რასაც ამ დროს ვუყურებ, დაუჯერებელი სრულებითაც არ უნდა იყოს. მაშინ, ერთი პირობა, ისეთი შეგრძნებაც გამიჩნდა — ხსენებული დასაფლავების ცერემონიის დროს ტაძრის რეაქცია სიღრმეში მობორობაზე ლანდებს რალაც ანუხებდათ. ზოგს ნამოწიოთლებული შუბლი უხურდა. ნამით ისიც კი გავიფიქრე (ამის აღდგენას ახლალა ვლამოზ) — მათ დაგორგლოდ, თავისქალაში ჩაჭუჭკულ ტვინებს შიშინა ალი ჰქონდათ შენთებულა, ნელ-ნელა ლღვებოდა და ნალღვეთი დაბლა მისრიალებდა, კოჭებს ჩაცდენილი, ძირში გუბდებოდა, ლანჩებს ზემოთ. მიკვირდა, სანყლებს, ალბათ, როგორ ენე-

ით ფეხისგულეები და ჯოჯოხეთურ წამებას ძალ-ლონის რა დაძაბვის ფასად იტანენ-მეთქი.

ვერ ვიტყვი, საიდან ამეტორლია ეს აკვიატებული წარმოდგენა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ უმრავლესობა ადამიანთა სახეებისა სანთლისგანაა ნაძერწი და როდესაც ცოცხელი სული სხეულისგან გაიძურნება, ამ შეხედულების ჭეშმარიტებაში თქვენ თვითონაც უფრო მეტად დარწმუნდებით. ასეთ ამფორიაქებელ აზრებს, დროდადრო, თითქოს ვიღაც მკარნახოს და რომ არ გადამაწინედეს, ვინერ, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად დავალაგო, რამდენადმე ცხადი გავხადო.

ახლა, ამ თაკარა აგვისტოს დღეს, გაბურუსალეული ვფიქრობ — რამდენი საწუხარი შემახვედრა ნელში მომხრელმა, გაუხარელმა ჭაპანყვეტამ, ცხოვრებას რომ ეძახიან. სადაცაა წელიწადი მოიკარავს თავს, რაც ჩემი ჭეია, ჩემი უსაყვარლესი ძმა, მზეს ვეღარ ხედავს და მეძალეზა სურვილი, მის გვერდით გატარებული დაუფინყარი დღეები გავაცოცხლო. ღმერთმა ქნას, შევძლო.

არ მაინცდება — როგორი დათრგუნული, გულდამძიმებული გამოვედი სამების საკათედრო ტაძრიდან. აღარავის ვუყურებდი. ასე მეგონა, მეც, მთელ სხეულზე, თითბერის აპრიალეული შანდლიდან ასვეტილი სანთლის მდულარე ცრემლები მეღვრებოდა და მთუთქავდა, სულ მეჩვენებოდა — კიბორჩხალასავით ანითლებული კანს გამჭვირვალე ლუდუდოები დააჯღებოდა ნემსის წვერის მიკარებისთანავე რომ სკდება და იჩუტება.

ტაძარში გაბნეულთა ცქერისას ეს აზრიც გამოიკვეთა: საკმაოდ იოლია (ჩვეულებრივ ასედაც ხდება) იმ გამჭვირვალე, გარბილებული სილუეტების სხვა მასალაში (ბრინჯაო, ქვა, მარმარილო...) გადასვლა და მაშინ ისინი სიმყარეს იძენენ, სახის ნაკვეთები შენარჩუნებული იქნება; ასე საუკუნეებს გაუძლებენ, ოლონდ თავისით ადგილს ვერ შეიცვლიან, არ შეეძლებათ მოძრაობა და სუნთქვა, რის გარეშეც ცოცხალი არსება წარმოუდგენელია.

XV





არადა და ნავიზონა

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „მოციმციმე არითმია“, „მაჯამანი“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“

ნევადა და არიზონა  
ატომური არი ზონა.

სახუ(რ)მარო

ნიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „ანდაზები და აქანდაზები“, „მაჯამანი“

ხურმამ რა იცის, ვირი რა ხილია,  
ხოლო ბატკანი თავად რახილია!

მა შაირი არ მიწოდლა...

ნიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „ანდაზები და აქანდაზები“

შენც შაური გიშოვია, მამაშენსაც – შაური,  
სამ შაურად გაყიდულა ჟინვალი და შაორი...  
შენ არავინ გეკითხება, – ბალი ათი შაური,  
შენ გეძღვება, თუ გეძღვება ეს საწყალი შაირი.

უღენოა

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „ქალები და ქალაქები“, „ბაბილონის გონდოლა“, „თანხმოვ(ა)ნებანი“

რა უნდა ქნას სასიკეთო ამ ქალაქმა უღენომა,  
ღამეებმა უსინათლომ გაგვიჩინა ადენომა,  
კაცი არ ხარ, თუ ხარ ახლა უდვიჟოკო, უდინამო,  
ამ ყველაფერს თუკი რამე გაამართლებს, – ოდენ ომი!

ნერა ქართულად!

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „კომპ-ლექსები“, „ბაბილონის გონდოლა“, „საკენკი“

მრავალი ბედნიერი წელი gagvitenos უფალმა!

აპოქათა მიჯნა

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „კომპ-ლექსები“, „მაჯამანი“

„ვინდოუსი“ სტამბას ერჩის და „მერსედესი“ – ეტლს,  
ადგილი ვერ მოვუძებნე „თუმცასა“ და „მინცს“,  
გუტენბერგი მინციდან მიფრინავდა სიეტლს,  
ბილ გეიტსი სიეტლიდან ბრუნდებოდა მინცს.

უცხოელი სტუმარი

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“, „მაჯამანი“

Пей до дна! – შეუძახეს – პეი და დნა! და დნა! და დნა!  
დალია და იმის ცოდვით იალბუზზე თოვლი დადნა!

+++

ნიგნებისთვის: „სელფები“, „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „ნიგნები“

დრო დასრულდა ლექსების წერისა და კითხვის,  
მებაღე თუ მექოთნე ბაღში თიხას თითხნის,  
ამერია ნიშნები ძახილის და კითხვის,  
ასი ცხვარი გამხდარა მძევლად ათასი თხის!

წინასაარჩევნო

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „აპოლიტკორექტული ადრესები“, „სუმბურები და კალამბურები“, „მაჯამანი“, „კენტავრები და წყვილტავრები“

არა ხანჯლით, არა დანით,  
არ პუჩინით, არ ადანით,  
მთაში – „თუ“-თი, ბარად „ან“-ით  
არჩევანით, არადანით!

მოგზაურობა სამხრეთის ჯვრის ქვეშ

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „გველები და არაგველები“, „აპოლიტკორექტული ადრესები“

რა შორს დარჩა დიდი დათვი ევროპის და აზიის!  
სამხრეთის ცას სამხრებზე ვარსკვლავთ ჯვარი აზის.

ცხენიანი ბოლივარი ახატია მარკებს,  
რა ჯობია კორტასარს და ბორხესსა და მარკესს.

თვლა არა აქვთ ჯვრისქვეშეთში გენერლებს და ხუნტებს,  
პინოჩეტი ალიენდეს ჩავეს აუბუნტებს.

ესკობარი ესალმება შორით ევა პერონს,  
მოხვევია ანაკონდა გაუქმებულ პერონს.

ჩე გევარა ჩვენთან ცოცხლობს, ხოლო ამათ მოკლეს,  
ვერ იყოფენ ევროპასთან მალვინებს თუ ფოლკლენს.

პაატა ნაცვლიშვილი  
**ჩინის ბუზები**  
(სულ 65)

ვერ იყოფენ ევროპასთან სატახტოს თუ ენებს,  
მაჩუ-პიკჩუ იგუასუს ნასკას მოაჩვენებს.

აქ ყველაზე ჩრდილოეთი სამხრეთია მაინც,  
მზეზე ბრწყინავს, კონკისტადორთ გადაურჩა რაიც.

აქეთ ამაზონია და პარანა იქით,  
მატეს სვამენ კალეხით, ჩინას – ჩაის ჭიქით.

გალაპაგოსს რომ უყურებ, უდასაბამოა,  
ჩიტბატონებს ელოდება ეს ამდენი მოა.

ეფერება მზე, რომელიც ეფარება ანდებს,  
კეჩუას და აიმარის პონჩოიან ტანდემს.

ტაშს უკრავენ, აღმერთებენ, ყავას სვამენ – პელეს,  
თავს ეკვატორს ურტყამენ და ფეხებს სამხრეთ პოლუსს.

ჩქარი ტაში აქ სჭირდება კარგ მთქმელსა და გამგონს,  
ბრაზილიურ სამბასა თუ არგენტინულ ტანგოს.

აქ ქცეულა სიზმრად ცხადი, ცხადად სიზმარიო,  
იქით ვალპარაისოა, აქეთ არის რიო.

ოსკარ ნიმიერია თუ ლუსიო კოსტა,  
პატარა პრინცს სამხრეთისკენ მიაქვს ღამის ფოსტა!

არსად არის, აქ რომ არის, ქვეყნად, ის აურა,  
ცისფერ ეკრანს ველურ ვარდებს ესვრის იზაურა.

ლამებს მწყემსი არ სჭირდებათ,  
ფეხბურთელებს – მწვრთნელი,  
თავზე ადგას კორკოვადოს სალვადორი – მხსნელი.

ბურთი მათი არსობისა ღმერთია და წესი –  
მადონა და მარადონა, მესია და მესი.

სამხრეთის ჯვარს შეფარვიან დევნილები ომით,  
რომის პაპის პაპის პაპა აქ მოსულა რომით.

აქ თავს იყრის ოთხი კუთხით ემიგრანტთა გზანი,  
განუკითხავს აქ ნოზაძეს ვეფხისტყაოსანი...

სამხრეთის ცას სამხრებზე ვარსკვლავთ ჯვარი აზის.  
რა შორს დარჩა საქართველო – რქა და ჯვარი ვაზის!



არა, ქათი!

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „ქალები და ქალაქები“, „სუმბურები და კალამბურები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“

ქეთი, შენი შემხედვარე, აღარ არის არაქათი,  
შენი ღმერთომიშველეთი, ვაიმეთი, არიქათი!  
არ გჭირდება ეგ ფოკუსი, არ აკეთო, არა ქეთი!  
არ ისეთი, არ ასეთი, არ იქეთი, არ აქეთი!

სატრანსპორტული ასტრანსპორტული ნათაშას

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „მაჯამანი“, „ქალები და ქალაქები“, „წმანურები და უწმანურები“

გაგადენინებ ას ტრახანს,  
თუ დამიხვდები ასტრახანს!

ხანდახან

ნიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“, „მოციმციმე არითმია“, „ნიგნები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

ხანდახან წერტილი მძიმეზე მძიმეა,  
ხანდახან – ძახილის ნიშანზე მალალი,  
ხანდახან ფიზიკად იქცევა ქიმია,  
ხანდახან ძველია ამბავი ახალი.

ხანდახან მღვიმეში ახალი მღვიმეა,  
ხანდახან ორმოში ორმოა მოთხრილი,  
ხანდახან წერტილი მძიმეზე მძიმეა  
და კითხვის ნიშანზე მეტადაც მოხრილი.

ათასწლოვანი დილა

გრიშა პერელმანს

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „ბორბლები“

პირველი არის მეორე  
მეორე არის პირველი  
და პუანკარეს თეორე  
მა არის გასაკვირველი!

ოთხნი მწვანეაუღადაფარავულ მამიდასთან

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „შესაკრებთა გადანაცვლებანი“, „სუმბურები და კალამბურები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „წმანურები და უწმანურები“

სულ სხვა არის პა-დე-დე და სულ სხვა არის პა-დე-კატრი,  
თუ არ მოგდის, მოიყვანე ან ჩააწყო იქნებ კარტი,  
ო, აქ თავი ვერ გიშველის, რაგინდ თავი გქონდეს კიტრა,  
ამ საქმეში სხვანაირი ზურგი გინდა, ანუ ტრაკი.

ქანთაპრი-10

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „წმანურები და უწმანურები“, „საკენკი“

მეტრაკეცა

შესხენება

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „ბორბლები“

ტალახიდან ვით ამოვა ვინ კამეჩი ულაფო,  
დანის პრინცს ნიშნს მოუგებს ნორვეგიის ოლაფი,  
გინდ სოინჯის ზეთი იყოს, გინდ უბრალო ოლიფა,  
გინდ ალეპო სააკაძის, გინდ ბორხესის ალეფი...

არ იქნება, ღმერთმა ერთი არ მოგკერძოს ულუფა,  
არ იქნება, შენც არ გერგოს ერთი რამე ალაფი,  
არ იქნება, რომ ერთი დღით შენც არ გახდე ხალიფა,  
რაგინდ უპოვარი იყო, მშვიერი და უფულო.

ოლონდ თქმა არ დაგავინყდეს: ემადლობ შენდა, უფალო!

ნავროზი

ნიგნებისთვის: „სელფები“, „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „ბორბლები“

ვუბრაგუნებ მუშტებს  
ტაშტებსა და ტუშტებს,  
ვბერავ რკინის ბუშტებს,  
უხეშებს და კუშტებს.

საკითხავი, აი, ეს არის!

ნიგნებისთვის: „სელფები“, „მოციმციმე არითმია“, „სუმბურები და კალამბურები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“, „ნიგნები“

ლექსებს აღარ კითხულობენ, ვისაც გინდა კითხე,  
და არც იმას კითხულობენ, რატომ აღარ კითხე...  
მიუჩინეს ლექსებს სადღაც ერთი ბნელი კუთხე...  
ჩამოასხი, თუ კაცი ხარ, კიდევ ერთი კათხა!



სიყვარულის შესახებ

ასე ხდება ყოველთვის  
ან თითქმის ყოველთვის:  
ჯერ უერთმანეთოდ ყოფნის შეუძლებლობას ზომავთ,  
მერე — უერთმანეთოდ ყოფნის შესაძლებლობას...

ასე ხდება ყოველთვის  
ან თითქმის ყოველთვის:  
ჯერ უპირობო მარადიულობაზე საუბრობთ,  
შემდეგ მარადიულობის პირობებზე.  
ასე ხდება ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის:  
როცა დაუვინყარის დავინყება

საკუთარ თავს გაგახსენებთ,  
როცა სხვებივით თავის ქნევით მეთათსედ გაიმეორებთ,  
რომ დრო ყველაფერს აფერმკრთალებს  
და მათ შორის, სიყვარულსაც, მეგობრობასაც,  
და როცა შეუძლებლის შესაძლებლობა

მოცემულობად იქცევა,  
დაჯდებით და მოჯღაბნით ლექსს, რომელსაც  
აუცილებლად დაინყებთ შემდეგი სტრიქონებით:  
„ასე ხდება ყოველთვის  
ან თითქმის ყოველთვის“...

პროზილის ფოტოები

რა კარგი ხარ,  
როგორი თბილი მზერა გაქვსო —  
მინერს ვილაც და მახსენდება,  
როგორ მძულდა მთელი სამყარო,  
ამ ფოტოზე როცა აღმოვჩნდი.  
აქ სიხარულის მიზეზების  
ნაკითხვას ცდილობს  
ვილაც სხვა და  
ან საიდან უნდა იცოდეს,  
რომ ამ დროს მტკივან დანაკარგებს  
უიმედოდ ვთხოვ დაბრუნებას.  
სხვა ფოტოზე კი ვარსკვლავები მიჩანს თვალებში —  
ასე ამბობენ,  
მაგრამ რა ვქნა,  
მშვენივრად მახსოვს —  
ცრემლი იყო ეგ რაღაც,  
მერე ფოტოზე რომ  
ვარსკვლავებად გამოისახა.  
აი, ეს ფოტოც — ყველას მოსწონს,  
ხელი ისე მაქვს,  
რაღაც ძვირფასს ვესალმები — ასე ჰგონიათ.  
სინამდვილეში,  
აქ სიყვარულს ვემშვიდობები.  
აქ კი მინერენ:  
— რა სიკეთე გამოსჭვივის გამოხედვიდან,  
ნეტავ ასე ვის უყურებო.  
ზუსტად მახსოვს ვისაც ვუყურებ —  
ისე მინდოდა მომკვდარიყო...  
და ბოლოს ფოტო,  
რომელიც თავად გადავიღე,  
საქმე არ მქონდა,  
მასხრობისას შუბლი შევჭმუხნე  
და აჰა, ზედ სევდად ვიღვრები.  
და ეს ერთი მშვიდი მასხრობა  
ათასობით გამამხნევებელ სიტყვას იღებს —  
ყველაფერი იქნებაო ძალიან კარგად.  
შენ კიდევ იტყვი,  
რომ სიმართლე არ იმალება?!

ნ-ს,  
როგელიც გაზინაც დიდი გოგო იყო

ცამეტი წლის ვარ და შენი ტყვე  
ფიქრი წავშალე.  
სამაგიეროდ, შენ იპოვე დარდათა სასხლეტი  
და რამდენჯერაც გამოჰკარ თითი,  
იმდენჯერ მომხვდა  
და არ მჭირდება ცამეტი ტყვია,  
რადგან ისეც ცამეტი წლის ვარ.  
ოცი წლის ხარ და გაიფიქრე: ცა სად იწყება?  
არავის უთქვამს. თავად მიხვდი და მითხარი,  
რომ ოცი წლისებს არასდროს ვენდო,  
რადგან უსაგნო ნივთებს ეძებენ  
და პოულობენ.  
და იპოვე  
და არ გჭირდება მეცხრე ზეცა,  
რადგან ისეც ოცი წლის ხარ  
ან ოცდაერთის.  
და ვზივარ ახლა — მთელი ოცდაცამეტი წლისა —  
ისევ ისე,  
ისევ იქ და  
ისევ ბავშვივით  
და ვერაფერს ვეღარ ვიხსენებ:  
ან როგორ დარჩი ოცდაერთის,  
ან როგორ გავხდი ოცდაცამეტის,  
როგორ გავჯობე! — სისულელე —  
როგორ მაჯობე!  
თუ რანაირად ვაჯობეთ ოც წელს,  
ჩვენ შორის რომ ცდილობს ჩადგომას,  
მაგრამ ხედება — უხერხულია,  
ჩადგეს იქ, სადაც ერთი მხრიდან გამოსროლილ



თათია მთვარელიძე

ოცდაერთი წლისას მზერას  
მეორე მხრიდან გასროლილი  
ცამეტი წლისას მზერა ხედება, —  
ცამეტის არა! ოცდაცამეტის!  
— ან რა აზრი აქვს —  
ერთმანეთს რომ უსიტყვებოდ,  
ხმის ჩახლენამდე აფრთხილებენ —  
ის იქიდან: ცა არ არსებობს!  
ეს აქედან: მინა მძიმეა!  
და დგას ოცი უსხეულო წელი მათ შორის  
და არ იცის რისთვის იდგეს ანდა წავიდეს...  
ცამეტი წლის ვარ,  
ოცდასამის,  
ოცდაცამეტის  
და გიყურებ შენ — ოცისას  
როგორ გისწრებ და ვერ გენევი,  
რანაირად გისწრებ ხოლმე და ვერ გენევი:  
ახლა მე შენზე დიდი ვარო — თუ გავიფიქრე,  
მაშინვე დგები ჩემ წინ,  
მე ვდგები შენ წინ  
და მიყვირი: ცა არ არსებობს!  
და გიყვირი: მძიმეა მინა!  
და მერე მოდის დრო,  
სადღაც დგება,  
ინყებს თვლას და  
ყველაფერი იმით მთავრდება,  
რომ მე — უკვე ოცდაცამეტის  
ვზივარ ისევ იქ,  
ისევ ისე,  
ისევ ბავშვი  
და ვერ ვიხსენებ  
როგორ დარჩი ოცდაერთის,  
როგორ გავხდი ოცდაცამეტის!  
როგორ გავჯობე — სისულელე! — როგორ მაჯობე!  
და ამ წერილსაც ვერ ვიხსენებ  
მერამდენედ გწერ შენ,  
რომელიც ოცი წლისა  
თუ ოცდაერთის  
მაშინაც და ახლაც  
ჩემზე დიდი იყავი...

განძილთა შესაქმა

„ეს მაშინ იყო, როცა მე შენ ვიყავი და შენ მე იყავი,  
როცა ერთმანეთს ენივთებოდნენ  
ცა და მინა, წყალი და ცეცხლი.  
ეს მაშინ იყო, როცა ღმერთზე მეტად მიყვარდი,  
როცა ბუდეებს ვუშენებდი გაფრენილ მერცხლებს.  
ეს მაშინ იყო,  
ყველა ლოცვა რომ ერთ მზერაში გარდაგვეცვალა,  
როს ცოდვის ნაცვლად  
ერთმანეთის თვალს ვინდობდით,  
როცა ნალკოტი ხმელ უდაბნოდ გადაგვექცა და  
იმ უდაბნოში როცა წყალზე მეტად გინდოდი.  
მერე კი, ოდეს განდევნილებს გზები დაგვებნა,  
შენ ხმელეთსა და მე კი ზღვათა ტალღებს მივანყადით,  
როდესაც წყლების სიღრმეებთან ბრძოლებს აგებდი,  
მე კი წვეთობით ვამცირებდი მანძილს მინამდე:  
მაშინაც ყველა ღმერთზე უფრო მეტად მომენდე,  
მაშინაც ყველა ღმერთზე უფრო მეტად გინამე“ —  
სანამ ეს წერილი შენამდე მოაღწევდეს,  
ეს ზღვა კიდევ უფრო გაჭაღარავდება,  
ეგ ზღვაც ალბათ უფრო მეტად გაშავდება...  
ნეტავ რა აბერებთ ზღვებს?..

ნუთუ მათაც იციან დარდი და მონატრება?...  
სანამ ნიჟარის გულში ჩათქმულ ჩემს წერილს გახსნი,  
შენი თმა ალბათ  
ამ ჭაღარა ზღვის ქაფზე უფრო თეთრი გახდება,  
ჩემი დარდი კი მაგ ზღვის გულზე მეტად გაღრმავდება,  
ნეტავ რა ატირებთ ზღვებს?..  
ცრემლების მალვით  
რატომ ხვდებიან ყოველ დაღამებას?..

როცა ამ სიტყვებს წაიკითხავ, თუ გაგახსენდეს  
ის ბალი, სადაც სულ პირველად შევისწავლეთ  
ერთმანეთის სხეულის კითხვა,  
შენი მუქი ზღვის ნაპირიდან სივრცეს გახედე  
და მოიგონე იგი, ვინაც პირველად გითხრა,  
რომ „მის“ ნალკოტზე ლამაზია შენი თვალები,  
რომ „მის“ სიტყვებზე ტკბილი არის სხეული შენი  
და რომ ყველაზე რთული სიტყვაც მ-ზე იწყება  
და არ მთავრდება  
და რომ ყველაზე მეტად იგი შენს ბაგეს შვენის.

სანამ ეს წერილი შენამდე მოაღწევდეს,  
შენ ალბათ ისევ მიაკითხავ შენი მუქი ზღვის სანაპიროს  
და გაიხსენებ, თუ ვით გვექცა დიდი ხნის წინათ  
ბალი უდაბნოდ,  
უდაბნო ცრემლად,  
ცრემლი ზღვად და  
ზღვა კი მანძილად...

გიორგაშვი

სხედან ქალები და ვილაცის მთელ ერთ ცხოვრებას  
მარტოხელა სიბრაღის,  
მარტოხელა დანანების  
და მარტოხელა სიხარულის სიტყვებით რწყავენ.  
სხედან ქალები და საკუთარ გაცრუებულ ცხოვრებას  
სხვისი მარტოობის აყვავებულ ღობეებში  
ყვავილთმოძულე სარეველად დააცოცებენ:  
თუკი შემთხვევით სიხარულის ყვავილი ეცნოთ,  
მყისვე ეზრდებათ გაცრუების ენაჭარტალა ეკლები და  
მათი მჩხვლეტავი ტკივილები  
სხვისი ცხოვრების ყვავილების მორწყვას იწყებენ.  
თუკი შემთხვევით  
სიყვარულის ყვავილებსაც წაასწრეს მზერა,  
მათი ჩახშული, მინაში პირქვე ჩამარხული ზამბახები  
შხამიან ბუჩქად იზრდებიან,  
რათა შხამის ზედაშისა და  
ეკლის გვირგვინთა დამზადება მოასწრონ  
ამ სიყვარულის ყვავილების დაკრძალვისათვის.  
სხედან ქალები და ვილაცის მთელი ცხოვრება  
მათ ტყვე სურვილებს,  
მათ უნაყოფო ალგზნებებსა და  
და ნაყოფიერად მოხსნულ ტკივილებს  
მარტოხელა სიხარულის გვალვებით ახმობს:  
— არ ჰქონიაო ბედი მაგ სანყალს, — ამბობენ  
და გულისხმობენ: — კიდევ კარგი, მარტო არა ვარ.  
— უსიხარულოდ წავიდაო ეგ სანყალი, — ამბობენ და  
გულისხმობენ: — კიდევ კარგი მარტო არ ვკვდები.  
მან კი, სული რომ ამოსდიოდა,  
თქვა: მეც მარტო ვკვდები, ვით ყველა,  
და კიდევ კარგი,  
ამ დანაკარგს — მთელ ერთ ცხოვრებას  
მაყურებლის ურცხვი მზერა ვერ აფუჭებს —  
სწორად ვიცხოვრე.





თათია მთვარელიძე

კანიელაზი და ქართველავი

ჩემო კანიელო მეგობარო,  
ვიცი კარგად ხარ,  
მერე რა რომ ისიც კი არ ვიცი,  
რას ნიშნავს კარგად ყოფნა კანიელთათვის.  
ვიცი კარგად ხარ, რადგან შენი ფოტოდან  
ორი სახეპრიალა და თვალბრიალა ბავშვი მილიმის,  
მათ შუაში რომ კაცი ზის და  
სახე ბრინჯაოს,  
ლიმილი კი სპილოსძვლისფრად ულაპლაპებს,  
ალბათ შენა ხარ...  
მე არ ვიცი რა არის თქვენთვის —  
კანიელთათვის ბედნიერება,  
მაგრამ ჩვენთვის — ქართველებისთვის  
(ალბათ იცი, რომ ქართველი ვარ;  
ეგ რა არისო ოლონდ ნუ მკითხავ, თავად არ ვიცი),  
ხოდა ჩვენთვის, ქართველებისთვის  
ბედნიერება ეგ ფოტოა —  
აქეთ-იქით ორი პატარა სახეპრიალა სიყვარული,  
შუაში კი სულ ერთი არის ვინ იქნება,  
მთავარია აქეთ-იქით ის ორი იყოს  
(ალბათ შენც იცი, რომ ქართველებს უყვართ ბავშვები,  
შეკანიანი ბავშვებიც კი, ოლონდ სანამ გაიზრდებიან.  
მაგრამ არ მკითხო ახლა რა არის სიყვარული,  
თავად არ ვიცი).

ჩემო კანიელო მეგობარო,  
რვა წელია შენს ფოტოებს ვუყურებ და  
ახლავა მივხვდი, მაშინ რატომ დამიმეგობრე  
და რვა წელია  
ერთი სიტყვაც კი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის:  
ალბათ ჩემსავით შენც ნახულობ ხოლმე დროდადრო  
ჩემს ფოტოებს და გგონია, რომ  
ბედნიერი ვარ და გიხარია,  
რომ იქ, სადღაც,  
საქართველოში გყავს ბედნიერი ერთი უცნობი,  
ვისი ფოტოცხოვრებინდნაც  
შენს ცხოვრებაში ჩამოტივრთავ ხოლმე  
ლიმილებს, სიხარულებს, თვალში ციმციმებს  
და გიხარია, რომ იქ, სადღაც, საქართველოში,  
შენცა გყავს ერთი კარგი უცნობი,  
რომელმაც იცის როგორია ბედნიერება.  
ჩემო კანიელო მეგობარო,  
ნუ ჩამოხვალ საქართველოში,  
ნუ მომძებნი,  
ნუ ამომიცნობ,  
დამიჯერე ასე ჯობია!  
დაე, გვეგონოს, რომ მანდ, სადღაც, კენიაში,  
რომ აქ — სადღაც, საქართველოში  
არსებობს ერთი ბედნიერი უცნობი და,  
ნუ ჩამოხვალ საქართველოში,  
არც მე ჩამოვალ კენიაში,  
აზრი არ აქვს,  
მაინც ვერ მიცნობ,  
მაინც ვერ გიცნობ,  
რადგან ჩემს არცერთ ფოტოზე მე არ ვარ და ვიცი,  
არც შენა ხარ შენს ფოტოებზე  
ნუ ჩამოხვალ საქართველოში,  
პირობას გაძლევ, არც მე ჩამოვალ კენიაში,  
დაე, დავრჩეთ კარგ უცნობებად,  
იქნებ ვინმე სხვაც მოვატყუოთ,  
მერე კიდევ სხვა და მერე სხვა...  
და მერე კი,  
მთელი სამყარო ჩვენ ვიქნებით —  
კანიელები და ქართველები,

ვინც არ იცინა,  
როგორია ერთმანეთის ბედნიერება.

კაცი

მას შევხედავ და ვამბობ —  
ყველა ერთი არ არის,  
ერთნაირი არ არის ყველა...  
ზოგს შეუძლია სამშვიდობოს გადავიყვანოს,  
ისე რომ ხელიც არ მოგკიდოს  
და საკუთარი გულის ხიდეზე  
ჯებირებად ამოგეშენოს.  
მას შევხედავ და ვამბობ —  
არა, ერთნაირი არ არის ყველა.  
ზოგის მზერას შეუძლია  
შენი არსების ყინულებში ისე შევიდეს,  
ტკივილის ყველა აისბერგი მზედ აქციოს და  
ასი ათასი მზე აგინოს  
და მერე სულ იმეორებდე —  
ნახეთ, რამდენი მზე ანთია ჩემში, ნახეთო.  
მას შევხედავ და ვამბობ:  
ყველა ერთი ვერ არის.  
რადგან მე ვიცნობ კაცს,  
რომელიც ყოველთვის, როცა  
წინ გახედვის შემემინდება,  
მოდის ხოლმე და თან მოაქვს ერთი  
ჯადოსნური სიტყვა, რომელიც  
შინაარსით „ღმერთს“ ჰგავს, მაგრამ  
ჟღერს, როგორც „მამა“.

მოტივი

ერთხელ გადახტა და გაფრინდა.  
ერთხელ ფიქრებს ტყვიას ესროლა  
და საკუთარ შუბლს მოახვედრა.  
ერთხელ შესცურა, მოეწონა და იქ დარჩა.  
ერთხელ ცას თოკი გამოაბა და ზედ აცოცდა.  
როცა იკითხეს — რატომ, რატომ, რატომ, რატომო —  
ასიათასი პასუხის მიღმა,  
ერთხელაც კი ვერ ნაიკითხეს  
მოპასუხე თვითმკვლელ ლიმილში  
ჩანერილი სიტყვა „იმიტომ“.

გზაპირული

ჩვენ გავიღვიძეთ, გავიღვიძეთ და ვგავდით დიდებს,  
სხვათა წარსული დაგვდებოდა თვალეებზე ფერად  
და ვთქვით, ჩვენ ვნახეთ,  
ვნახეთ გზები, რომლებიც იდგნენ  
ხსოვნის წყლებში და ეშლებოდნენ  
ჩვენს სიზმრებს ფრთებად.  
ჩვენ გავიარეთ და ვიფიქრეთ — სჯობდა იმ კუთხეს,  
სადაც მივცოცდით, სამუდამოდ ზედ ავკრობოდით,  
რადგან ჯერ არცერთ მგზავრს მისვლია  
მტვერთა საკურთხი,  
ჯერ არ მომხდარა, რომ მდევარი გზას დაკვდომოდეს.  
ჩვენ დავბრუნდით და  
მტვერი ჩადგა თვალეებში ცრემლად,  
ჩვენ დავდექით და გაღიმება ვერცერთხელ ვცადეთ,  
და ვთქვით —  
ჩვენ ვნახეთ გზები, სადაც იდგნენ ღმერთები,  
იდგნენ ღმერთები და ჩვენსავით პატარებს ჰგავდნენ.



ალეკო თუთბერიძე  
მოგონებები



პირთხა

სკოლაში გატაცებული ვიყავი თეატრით, განსაკუთრე-  
ბით რუსთაველის თეატრის ხშირი სტუმარი გახლდით.  
მარტოსაც კი მივლია სპექტაკლებზე. ვიცოდი, პიონერ-  
თა სასახლეში ფუნქციონირებდა თეატრალური წრე. მი-  
ვაკითხე, შემამონმეს, მიმიღეს. მზადდებოდა სპექტაკლი  
„შინ დაბრუნება მინდა“, ჩვეულებრივი საბჭოთა „აგიტ-  
კა“. პატარა როლი კი მომცეს, მაგრამ სცენაზე შემდგომ-  
ში მოვლვარე მსახიობების — ოთარ მეღვინეთუხუცესისა  
და თენგიზ არჩვაძის — გვერდით ვიდექით. ახლაც მახს-  
ოვს პრემიერა, გადავსებული დარბაზი, დიდი წარმატება.  
სახლში გაამაყებული მივბრუნდი. რამდენიმე დღის შემ-  
დეგ გაზეთებს ფოსტით ჩემს სახელზე წერილიც მოვკა.  
გამიკვირდა. მთელი ჩემი ნაცნობ-სანათესაო მაშინ  
თბილისის რამდენიმე ქუჩას თუ განვდებოდა. საფოსტო  
მანძილზე არავინ მეგულებოდა. გავხსენი კონვერტი —  
ვარდისფერ ქაღალდზე სულ რამდენიმე სტრიქონია —  
„ალეკო, კი, კარგად ითამაშე, ყოჩაღ. მაგრამ, დედაშენი  
მთელ ვაკეშია განთქმული სილამაზით და შენ კი ვის დაემს-  
გავსე? შენი კუხნის ვირთხას!“ და არავითარი ხელისმონ-  
ერა.

აღშფოთებულმა მივაკითხე დედას და წერილი გავუ-  
წოდე. აილო, ნაიკითა, ჩაელიმა — შეხე ამ საზიზღარს, მე  
რა, მარტო ვაკეში ვარ განთქმული სილამაზით?!

შემდეგ სპექტაკლში ჩემი როლი ლეო კავილაძემ შეა-  
სრულა.

ტაქსი

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამეცნიერო განყო-  
ფილების უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი. მიმყავდა  
ლექციების კურსი. სამსახურში ხან ჩემი მანქანით, უფრო  
ხშირად კი ფეხით მივდიოდი. ერთხელ გვიანობამდე შევრ-  
ჩი, უკვე ბნელოდა. ჯიბეში ტაქსის ფული მოვიძიე. მყო-  
ფნიდა. სამუშაო ოთახიდან გავედი და მეზობელი ოთახი-  
დან ჩემთან ერთად გამოვიდა ჩემი მეგობარი და კოლეგა  
მერაბ მიქაუტაძე.

— სახლში მიდიხარ მანქანით? — ვკითხე.  
— ჰო, ნავიდეთ, — მიპასუხა.  
ჩემთან ახლოს ცხოვრობდა. დიდად კმაყოფილი ვმგ-  
ზავრობდი, თან მეგობარს მივყავდი, თან ფული დავზოგე.  
მივედი. მაღლობა გადავუხადე და მანქანიდან ჩავედი...  
იქვე დავიჭირე ტაქსი და ისევ ნავედი სამსახურში...  
ჩავჯექი ჩემს მანქანაში და დავბრუნდი სახლში.

ნუშის ნამცხვარი

60-იან წლებში ხშირად მიწევდა ჩემს სადისერტაციო  
საქმეებზე მოსკოვში ჩასვლა. ერთ დღეს გავიგე, თბილი-  
სის „დინამოს“ გადამწყვეტი საკალათბურთო მატჩი ჰქონ-  
და მოსკოვის ცსკას-თან. ზაალ ხოჭოლავა და მე გავემგ-  
ზავრეთ ცსკა-ს დარბაზისაკენ და ავიღეთ ბილეთები. მატ-  
ჩის დაწყებამდე დრო გვქონდა. გრილოდა. დარბაზის წინ  
სკვერში, როგორც ყველა იქ მყოფმა, თითო ჭიქა ცხელი  
კაკაო და თითო ნუშის ნამცხვარი (პეჩენია) შევიძინეთ.  
ერთ მაგიდასთან (უსკამო, მაღალი მაგიდეები იყო) დავდ-  
ექით. მეც, როგორც ყველამ, მოვსვი კაკაო, მოვკბინე ნამ-  
ცხვარი და ჩამოვდე ჭიქაზე. იდილიური გარემო იყო. უცებ  
საიდანდაც მურდულივით მოფრინდა ბელურა, ნისკარ-  
ტით წვდა ჩემს პეჩენიას და გაფრინდა. ავიხედ-გამოვ-  
იხედე. ყველას ჰქონდა ჭიქაზე ჩამოვებული ნამცხვარი  
ჩემს გარდა.

კი მაგრამ, იმ ჩიტმა საიდან იცის, მე რომ გამო...ლი  
ვარ? ვიკითხე ხმამაღლა. — მეც ეგ მიკვირს, — მიპასუხა  
ზალიკომ...

\*ვახუშტი კოტეტიშვილის უახლოესმა ბავშვობის მეგობარმა მანანა ყი-  
ფიანმა მოიგონა, ვახუშტის მისთვის ერთხელ ძალიან სევდამორეულს უთქ-  
ვამს: კიდევ კარგი, მამაჩემის არქივი ხანძრამდე ჩავაბარე ლიტერატურულ  
მუზეუმს. მე კი უნარსულო კაცი ვარ — თურმე არც დაგვადებულვარ, არც  
მისწავლია, არც მიფიქრია, არც რაიმე დამინერია, ყველაფერი ცეცხლმა წაიღო..

\*\*არჩილის (რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არის ცოცხალი) ოცნება გივი  
ინანიშვილმა განახორციელა. გივი ინანიშვილი სპეციალობით ინჟინერ მეტა-  
ლურგი, არჩილის ჯგუფელი, რუსთავეის მეტალურგიულ ქარხანაში ნამუშე-  
ვარი, დღეს ისტორიულ მემკვირვებათა დოქტორია, ქართული ფოლადის  
პირველწყაროთა მაძიებელი, შემსწავლელი და გამოკვლევათა ავტორი. ამ  
დარგში დისერტაციების ხელმძღვანელიცა და ოპონენტიც.



ლალი-ციპი მიხაელი დაიბადა 1964 წლის 20 მარტს საქართველოში, სენაკის რაიონში. 7 წლის იყო, როცა მისი ოჯახი სხვა ებრაელებთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა. ამ „გადასვლამ“ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა ბავშვის ფსიქიკაზე, რომ უკვე მოზრდილმა ეს დაუვიწყარი ცხოვრებისეული ემოცია საოცარი სიმძაფრით გადმოსცა ლექსით „მატარებელი“. ლალი მიხაელმა დაამთავრა ისრაელის ბარ ილანის უნივერსიტეტის მსოფლიო ლიტერატურის ფაკულტეტი და დღეს თავად ასწავლის ივრითულ ენასა და ლიტერატურას ბენ გურიონის უნივერსიტეტში. ის 5 პოეტური კრებულის ავტორია, უძღვება ლიტერატურულ პროექტს სახელწოდებით „ვიდეო არტ პოეტიკა“. მისი ნაწარმოებები იბეჭდება ისრაელის ყველაზე პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში, მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში. ლალი-ციპი მიხაელის ლექსები თარგმნილია მსოფლიოს 12 ენაზე. ქართველმა მკითხველმა მისი რამდენიმე ლექსი უკვე გაიცნო ჟურნალ „არილის“ ფურცლებიდან. „ლიტერატურული გაზეთი“ ამჯერად მისი 8 ახალი ლექსის თარგმანს გთავაზობთ. ორიოდ სიტყვით აღვნიშნავთ, რომ ლალი მიხაელს ისრაელელი ლიტერატურათმცოდნეები რევოლუციონერ, საოცრად ლალ და ქარივით თავისუფალ პოეტად მიიჩნევენ. ცნობილმა კრიტიკოსმა, გაბრიელ მოკედმა მას თელავის ეროტიკულ-ქალაქური პოეზიის სახე შეარქვა, თავად პოეტი კი საკუთარ თავს ეგრეთ წოდებულ რეზისტენტული პოეზიის მიმდევარსა და ერთგულ გამგრძელებელს უწოდებს.

**ლალი-ციპი მიხაელი**

**სახეები**

შენ  
 გესმის  
 მთელი სხეული ჩემი სახეებია  
 მთელი სხეული ჩემი არის თვალები  
 მთელი სხეული ჩემი ტუჩებია  
 მთელი სხეული ჩემი არის ნიკაპი  
 მთელი სხეული ჩემი შუბლია  
 მთელი სხეული ჩემი ყურებია  
 მთელი სხეული ჩემი ცხვირია  
 მთელი სხეული ჩემი ნესტოებია  
 მთელი სხეული ჩემი არის მიმიკა  
 მთელი სხეული ჩემი ყვრიმალეებია  
 მთელი სხეული ჩემი ამოქნილი წარბებია  
 მთელი სხეული ჩემი ნაკვთებია  
 ნაკვთები  
 ნაკვთები  
 მთელი სხეული ჩემი ქუთუთოებია  
 ზედა და ქვედა ქუთუთოები  
 მთელი სხეული ჩემი ძუკნაა სიყვარულით  
 დუჟმორეული.

ეს ცნობა ამწუთას მოვიდა პარიზიდან.  
 ამ ცნობის გაჩენაში წვლილი მეც მიმიძღვის.  
 ეს ცნობა პირადად მე მეხება  
 ნგრევა  
 ნგრევა  
 ნგრევა.

**სოლისტი**

დედაჩემი იყო  
 სოლისტი  
 ოცნებაში  
 მაგრამ მამაჩემის გარდა  
 ვერავინ აღმოაჩინა.

იქ გაიხსნა კომპარების გორგალი  
 და დაიწყო  
 მიიზღაზნება ზევით, მკაცრ ღრუბლებს მიათრევს  
 დილით ამოხეთქავს და ღამე ბოლოს სცემს  
 ადგილ-ადგილ  
 მის სახეზე დაეფინა  
 მუდმივ იარად  
 და დააძრო კბილები  
 მას შემდეგ ფანჯრიდან იმზირება  
 მწვანე თვალებით  
 ვიტრინაში აწყობს ოცნებებს  
 იმედგაცრუების ფიალას  
 მტყუნებში იქცევს.

ასე დაიწყო სიცოცხლეში მისი სიკვდილი  
 ბედნიერების ბულვარზე 42  
 მსოფლიოს ერთ-ერთ მეტროპოლიაში.

დედა იყო  
 სოლისტი  
 ოცნებაში.

და მე არ მინდა  
 მინის იქით მხარეს  
 მის თვალებს შევხვდე.

**პარიზული ეტიუდავიდან**

**ვახშამი**

იქ, „ლე ბონ მარშეს“ მაღაზიაში  
 თავისუფლად ვიყიდი  
 მთელ სიყვარულს  
 შემოსკუპულს ლამაზ თაროებზე  
 სხვა ტონებით გავანათებდი საღამოს  
 ერთი თვალისმომჭრელი განათებით  
 და განვდეგნიდი მეხსიერების ზუილს  
 ორგანული პურიდან.

**Pont des Art**

მსოფლიოში ყველაზე აღმტაცო ხიდი  
 სიყვარულის წონამ ჩაანგრია.



\*\*\*  
**სულელების გემის ვარ ტუსალი**  
 თავდავიწყებამდე ვსვამ, ვაკვნესებ ბარბითს  
 ბედთან ერთად ვირწევი და მივცურავ  
 მეც სულელების აფრით.

**კაკალი**

ხილის ლარნაკში  
 წითელ ვაშლებს და ლიმონს შორის  
 ეულად გდია კაკალი  
 ჩემი მშობლების ბალიდან  
 რომლებიც ხეებს შორის დამიბერდნენ.

მასსოვს ფეიხოას ხე  
 ბებიაჩემის განებილი თითები,  
 რადგან ხის ქვეშ უყვარდა ნაყოფის გათლა.  
 იმდენი კაკალი იყო დიდი ბაბუას აგარაკზე  
 რომ ციყვებთან ერთად ვამტვრიეთ და ვაკნატუნეთ.

დღეს ეული კაკალი ყავისფერია ვაშლები  
 წითელი.

\*\*\*  
**როცა კითხულობ ჩემ ლექსს**  
 უკან აბრუნებ ყველა ამომლილ სტრიქონს  
 ისე რომ ვერც ამჩნევ.  
 როცა კითხულობ ჩემ ლექსს  
 გრძნობ ყველა უთქმელ ტკივილს  
 ნიჟარაში ჩამწყვედულ ექოს.  
 როცა კითხულობ ჩემ ლექსს  
 გავსებს სიხარული რომელიც  
 ამ და იმ ქვეყნის გასაყარს ასხივებს.  
 როცა კითხულობ ჩემ ლექსს  
 ცეცხლის მოპარვა გინდება შენთვის  
 თუ არადა  
 რა აზრი აქვს მაშინ ჩემ ლექსს?

\*\*\*  
**პოეზია ძნელმისაწვდომი ქალიშვილია**  
 ის არის ქალი მდებრობითი ინტელექტით

თავის ადგილას დადე  
 საზღვრები დაუდგინე  
 დრო მიეცი, მოიხარმოს თავის წვენში  
 თავის დროზე გაბედულად დაჭერი.

ყველაფერს ნუ დაიჯერებ  
 რასაც სხვები ფიქრობენ შენზე  
 მათი თოჯინა არ ხარ  
 შენი სქესის გამო გულში ჯავრს ნუ ჩაიბუდებ  
 გახსენი ჭრილობა  
 ახალი კრებულისთვის ახლიდან დაიბადე.  
 არასოდეს  
 მოინატრო წინა წიგნში ჩაწერილი ლექსი.  
 გახსოვდეს სასუნთქი სივრცე დაიტოვე ძველსა და  
 მომდევნო წიგნს შორის  
 ვიდრე ახალ სხეულს გამოთლიდე  
 ახალ სახეს შეეგებე  
 ახალ ხელს ჩასჭიდე ხელი  
 და ახალ გზას დაადექი.





დედაბაბაძეს გამოცილებულებს, არ მახსოვს, მერამდენე კილომეტრზე წა- მოგვენიე — რეჟისორმა ხმას აუწია და მანქანის სალონში, შენი სიმღერა კანარის ჩიტვით შეფრთხილდა.

რადიოტალღის წყალობით აქ, გადა- კარგულში, მოგვაგენი და, უნებურად, მამ- ინვე ამეკვიცა — „სცენარი ჰოლივუდის- ათვის“.

სტივ, შემძლია, დავიფიცო, რომ მან- ამდე არც „სცენარზე“ მიფიქრია და არც „ჰოლივუდი“ გამიფიქრა გონებაში.

მამ, რა მოხდა, თანაც რატომ მაინც- დამინც „ჰოლივუდი“, კინოსტუდიების მეტი რა არის დედამინის „ჰორგზე“?

წარმოგიდგინე და...

წარსულში გატყორცნილს უცებ შენი ალი-კვალი, შავსათვალისანი ორეული გა- მომეცხადა.

საჭეს ჩაბლაუჭებული თეატრის მთა- ვარი რეჟისორი დაწყებულ საუბარს აგრ- ძელებდა, ქალაქის გამგებელთან ბოლო- დროინდელ აუდიენციას იხსენებდა:

როგორც იქნა, შევალნიე კაბინეტში. იქ სხვებიც იყვნენ, მაგრამ რა მქონდა ვინ- მესთან საჩუქართო და დასამალი — გულა- მოვარდნილი ვესაუბრებოდი თეატრის პრობლემებზე; რომ შემოვიდა თანაშემწე, აყლაყულა ბიჭი და გამგებელს აცნობა, ისევ ის კაცია მოსული, თქვენი ახლობე- ლი, ამასწინათ სამსახურს რომ შეპირდით და შემოვუშვა თუ არა?!

— მერე სად მაქვს სამსახური? — ხე- ლები გაუშალა, ალბათ ჩემგან ისედაც თავ- მობეზრებულმა ქალაქის მამამ.

— აბა, რა ვქნა, ვისთან ან სად გავამწე- სო?

— სად და, ტრ...ში!..

სწორედ ასე, გულახდილი ადამიანის პირდაპირობით მიახალა და ატყდა კაბი- ნეტში სიცილ-ხარხარი.

— რალას უდგახარ... ხო გითხარი, ტრ...ში-მეთქი! — დაუყვირა დაბნეულ, უხერხულად აყუყულ ბიჭს და უცებ, თითქოს გამოსავალს მიაგნო, მე მომი- ბრუნდა, — თუ ძმა ხარ, ამ ერთ კაცს ვერ დამისაქმებ?

— ჯერ ერთი, ადგილი არა მაქვს, შტატები ისედაც გაბერილი დამხვდა და მეორეც, ტრ...ში გამწვებული კაცი თეატრ- ში მივიღო? კულტურული დანებსებულა უკანალთან გააიგივებ? — შევაპარე ვით- თო ხუმრობით, ვაითუ გავანახეყენო და ამან ჩვენს დაფინანსებაზე უარყოფითად იმო- ქმედოს-მეთქი...

— აი, ასეთებს აბარიათ დღეს ქართუ- ლი კულტურის, განათლების და, აქედან გამომდინარე, ადამიანების ბედი. ყოველ პრემიერაზე თითქმის ერთ რიგს ცარიელს ვტოვებ, ეგებ გვიკადრონ და დაგვფასონ — შენც არ მომიკვდე, ქუდი რომ შემოუგ- დო, იმის გამოსატანადაც არ შემოვლენ... ავადსახსენებელი კომუნისტები დადიოდ- ნენ... კი, კი... პრემიერას დააკლდებოდ- ნენ?... რა ვიცი, რომელ ინკუბატორში გამოიჩეკეს ეს უფუხეობა...

— იცი, რომელ ინკუბატორშიც.

— ნეტავი არ ვიცოდე!

გესმის, სტივ, შენი სიმღერა მესამე თან- ამგზავრით გვყავს მანქანაში. გადახრ- უკულ პრემიერზე წარინჯისფერი სინათლე ცხელივებს, მოასფალტებული გზის ვერ- ცხლისფერი ზოლი სადღაც უსასრულო- ბაშია გადაკიდული, როგორც მეთევზეებს- ის ტრალი და თანდათან ჩვენსკენ ვენევიო.

შენი სიმღერა ფარავს რეჟისორის მონოტონურ ხმას.

რეჟისორი ბევრჯერ მოსმენილს მიმე- ორებს — თეატრის პრობლემები, სადა- დგმო ხარჯები, დეკორაცია, რემონტი, გა- ყოფილი დასი, ჯანდაბა და დოზანა...

შენი სიმღერაც ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ არ მმეზრდება, პირიქით, სხეული მსუბუქდება და ასე მგონია, ბაბუანვერა- სავით სულს შეუფერავ...

სტივ, შავი სათვალთ თავს ძალიან ნუ მოიწონებ, შენამდეც ატარებდნენ და ზო- გიერთი თუკი მსოფლიომ ვერ გაიციან, ეს მათი უიღბლობის ამბავია... იმსახურებდ- ნენ კი, რომ წიგნებში შეთხზულ გმირებს ჩანაცვლებოდნენ და ჰოლივუდის გადა- სალებ მოედნებზე თავიანთი მოკრძალებუ- ლი ადგილი ეპოვათ.

პირველად რომ განახე, სწორედ ერთი იმათგანი დამიდგა თვალწინ, ლამის გადა- ვინწყებული, მუქსათვალისანი, შავპერანგი- ანი და გამუდმებით მხრებზე პიჯაკ- მოსხმული.

არ მახსოვს, ოდესმე სახელოებში მკლავი გაეყაროს.

მერე, ციხეში, რალაც გაუგებრობაში მარჯვენა ხელის მტევანი რომ დაკარგა, პირველად ის გავიფიქრე, ახლა „ზარი“, იგივე კამათელი, როგორ უნდა გააგორ- ოს-მეთქი.

ძველები სულხან-საბას სკვერში, ძეგლს უქანა, მოფარებულში იკრიბებოდ- ნენ ხოლმე. იქ საქმეები ისეთი ჟარგონით ირჩეოდა, მოსმენად ღირდა — მითუმეტეს, ჩვენთვის, პატარებისთვის.

მივდიოდით, როგორც „ძველები“, ჩვენც იქვე დავცუცქედებოდით და ვუ- ყურებდით კამათელის გაგორების შემდეგ ღონივრად რომ იტყაპუნებდნენ გაშლილ ხელისგულს მარცხენა ბარძაყთან და უშ- ვერი სიტყვებით, კბილების ღრჭიალით ამკობდნენ საკუთარ იღბალს და მონი- ნააღმდეგებდნენ...

ვანო ჩხიკვაძე

სცენარი ჰოლივუდისთვის



ერთხელაც, ვარ ასე თვალბადქცეუ- ლი, რომ ვილაცამ კისერთან, საყელოში ორი თითი ჩამავლო და წამომაცყენა.

შევხედე, მთანმინდელი ლუკა, იგივე „ზანგო“, პენენიკა, პირგაპარსული, ნიკაპ- თან გაბანტული, ყელში ჩატანებული შარფით, გატყეცილი, გაპრიალებული კო- სტიუმის „ბორტებით“, ტურის კიდებისკენ გაქცეული „კურორტის“ თუ „ყაზბეგის“ აბოლებული ღერით. ალბათ ცალთვალ- მოჭულული, მაგრამ თვალებს რას დაუნახ- ავ — ლუკა ვის დაანახვებს, შავი სათვალე მალავს შიგნით, ღრმა, ბნელით მოცულ ფოსოებში რა ხდება.

არც მეტი, არც ნაკლები — რომ შეგ- ეხედა, შენი თავი გვეცინებოდა.

ეჰ, ბედნიერი ხარ, სტივ!

აგირჩია ბულბულმა (თუ წარინჯის- ფერი პრერიების იადონმა) — მაშინ, როდე- საც, ჯერ კიდევ ჩვილს, ბალიშსაფრენილს გეძინა, მოფრინდა და შენს ყელში დაიბუ- და.

ერთი ბულბული ლუკასაც უწყალობა გამჩენმა — იასამინის მეორე შესახვევში სერენადებს უმღეროდა, უფრო სწორად, ნაირნაირ მოტყევის უსტვენად ხოლმე ვილაც თავისზე ასაკით უფროს, აივანზე გად- მომდგარ გოგოს.

მერე ის გოგო გათხოვდა, მერე... მოკ- ლედ, ბანალური ისტორიაა, სიყვარულში განცდილ ფიასკოსა თუ კიდევ სხვა მიზეზ- თან გამო, ნიჭიერი ბავშვთა სამუსიკო სკო- ლა მიატოვა ლუკამ, სამუდამოდ დაასამა- რა შავ ფუტლიარში ფლეიტა, მოკლა უფ- ლის ნაბობები ბულბული...

ჰოდა, იმას ვამბობდი, მაშინ, სხვებთან ერთად ვიყავი ჩაკუნტული, როცა ლუკამ როგორც წუმპედან ძონძი ამოიღო, ორი თითით აკონწიალებული გამომარიდა იქაურ ხორხოცს, გინებას, ბილწისტყვაო- ბის კორიანტელს — მამაშენის შვილს ამ- ათთან ყოფნა არ ეკადრება, შენ სხვა კაც- ად უნდა გაიზარდო, ნადი და ამ ჯამაათ- თან, ამ ნაგავში აღარ დაგინახოო.

„ნაგავიო“, სტივ! თვითონაც იქ არ იდგა? რამდენჯერმე ნაცინარმა, აქ „დავა- ყვაცებულმა“, მე ვერ გამიმეტა, ქვეყანა ვერ გაიმეტა, ყველა რომ იმ ნაგვის ნან- ილად ქცეულიყო და დალუპულიყო.

პირველი სიყვარული შეგრილებულ თონებში ჩაკრული ცომის გუნდასავით არის

— უეჭველად ჩავარდება, ნაცარში ამოი- გუნგლება, ნაკვერცხლებზე გამოიშუშება, მაგრამ რად გინდა, როგორი გემრიელიც უნდა იყოს, კუტი მაინც კუტია — უფორ- მო, შეუხედავი.

ლუკასაც გულის ღადარში ეს კუტი ელო.

ეჰ, რა ბიჭი აიყოლიესო, იტყოდა ხოლ- მე მამაჩემი, თავად მუსიკალურის პედაგო- გი, სადაც ლუკა სწავლობდა.

არ იტყოდა, კონკრეტულად ვინ აიყო- ლია. ალბათ ამათ, ძეგლის უქან რომ დამკვიდრებულიყვნენ.

მოკვდა ბულბული, თუ მუჭში გამომწ- ყვდეულივით გაეშალა ხელი ლუკას და გაუფრინდა.

ციხეში ქლექმა მოულო ბოლო. აბა, იმის სულის ამოხდომა ყოფილა ნამდვილი გე- დის სიმღერა — ერთხელ კიდევ და უქა- ნასკენლად ესტუმრა მგალობელი. ნარე-

დაჭრილი ძლივს გადაარჩინეს... ლუკამ „კროპიანი“ დანა ხელსაწოცს შეანმინდა და ადგილიდან ფეხი არ მოუცე- ლია, მილიციას ჩაბარდა.

იცოდნენ ხოლმე თქმა, ქურდია, მაგრამ სამართლიანიაო. თუ ქურდი ხარ, სა- მართლიანი როგორ ხარ? ადამიანი ყველ- გან გმირს ეძებს. თუნდაც იმ „ნაგავში“, წიგნში, ფილმში, სპექტაკლში, თუ მკვლე- ლი ან რეციდივისტი არ არის, ყოველთვის დევნილის მხარეზეა...

შენთვის უცდიათ სათვალის ჩამოგლე- ჯა?

მაპატიე, სტივ, თვალის სინათლის სან- აცვლოდ ისეთი რამ გინყალობა უფელმა...

— ჯადოქარია! — გისმენს და ალტა- ცებას ვერ მალავს ჩემი თანამგზავრი რე- ჟისორი, — რა ბედი ეწეოდა, საქართველო- ში რომ ეცხოვრა?

— როგორ, საქართველოში არ ცხ- ოვრობენ დიდი მომღერლები, დიდი მსახ- იობები ან...

— კარგი, ერთი, თუ ძმა ხარ, ეს თუ ცხ- ოვრებაა...

— ხომ იყო, ალბათ მომავალშიც იქნე- ბა!

— ეგ ისეთი ოპტიმიზმია, მთქმელსაც რომ აღარ სჯერა... როდესაც სტივ უან- დერს ვუსმენ, სული შვებას გრძნობს, ჩემს წინ სხვა სივრცეები იშლება... შემძლია — აი, ასე, დაუსრულებლად ვიარო და ვია- რო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ან...

— აღმოსავლეთიდან დასავლეთის- კენ...

— ჰო, საითაც გზა წამიყვანს.

— მერე, არ ფიქრობ გზის ბოლოში რა დაგვხდება?

— ჩემთვის მთავარი მოძრაობაა. გზის ბოლოში ხომ ისედაც ვიცით, რაც დაგვხ- ვდება.

— გგონია, რომ ვიცით?

— მე ბიბლიასა და წმინდა მამებს ვუჯერებ — თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც ქურდი და ვერ გაიგებ, რა დროს მოვალ...

დამწკრივებული მანქანების სახურავე- ბზე შხაპუნა წვიმა ხმაურობს, თითქოს მე- მანქანეთა ბიუროში ათეულობით თითი აკაკუნებს საბეჭდი მანქანების კლავია- ტურაზე.

საბეჭდი მანქანები! ესეც ხომ კაიხნის ჩავლილი „წვიმა“. სტამბები, ლინოტიპე- ბი და ლინოტიპისტები — იღაყვამდე მოთხვრილი მეტრამაჰყეები, თვითონი შტამპებით, ციცეროებით, შპონებით... დაიკარგა სიტყვები, პროფესიები. ნელ- ნელა ამოვარდნენ მეხსიერებიდან, წარ- სულში ჩარჩნენ... მხოლოდ წვიმა მარადი- ული, შეუცვლელი. იქვე მისი შინაარსიც შეიცვალა და ჩვენ ვერ ვგრძნობთ? განა, ჩვენ კი გვეტყობა გარეგნულად, როგორ გავიწყვნი და გავთახსირდით? ულვა- შის ღერს ვილა გამოგართმევს ჩვენი სუ- ლის ამომხდელ ბანკებში გატანილი კრედიტის სანაცვლოდ?

ჩვენ რა ვიცით, რაზე წუხს და რას დარ- დობს წვიმა, ბეტონს რომ აგრილებს და დაუმუშავებელ მინდვრებზე სარეველა ბალახს ფესვებს უმაგრებს. „შხაპუნა წვიმა“, „ფუჟუნა წვიმა“, „თქო- ში“, „შვიდმისის წვიმა“... ჩქარა, არ გადა- ილოს, ქორჩორი და ნანწნავები შეუშრებით, ბავშვებო, მოდიდებულ, თბილ რუბეშს სანდლებიანად ჩახტით და აჭყაპუნეთ!

ამას ხომ შენც უმღერი, სტივ — „ჩვენ წვიმით ვსველდებით, ვარსკვლავთა ცრემ- ლებით“ — მგონი, ეს სიტყვები გასდევს რეფრენად შენს მშვენიერ შიტს (ახალი, ჯადოქარი სიტყვები მეც შემომეტყუა).

„ძალადობა ვერასდროს ვერაფერს შობს...“

ვერ დაგეთანხმები!

„ძალადობა ძალადობას შობს!..“

ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ჩემს სსოვნაში ასე ფიქრობდა დღევანდელთან შედარებით გულუბრყვილო სამყარო.

თუ ვერაფერს შობს, მაშინ საიდან ამ- დენი შხამიანი ხოჭო, ყველაფერს რომ ძოვენ და ანადგურებენ, მიგვერეკებიან წინ და არსაით.

რა გვეშველებოდა, ამ ღვარცოფში შენი ხმის ცისარტყელამ რომ არ ჩამოგ- ვანათოს, ის რომ არ გადაიკალოს ზეცი- ური დიადემასავით და, დროდადრო, ოთხ- ივე მხრიდან არ შემოგვკლიმოს ხელტროს- ტიანმა, მარადიულმა მანანალამ.

— გაიგე, კაცო? — ჩამესმის რეჟისო- რის ხმა, — სამხრეთ კაროლინის შტატში,



უნყინარ ქრისტიანულ ეკლესიაში, ვილა-ცამ ნირვის დროს აფრო-ამერიკელი მლოცველი მრევლი ჩახოცა... აი, ისე, არაფრის გამო, მოეხოშა და ჩახოცა... შენ კომენტარი ნახე, სარწმუნოებრივი სიძულვილის ნიადაგზე მოხდაო.

— აბა, ხომ არ იტყვიან, რასიზმი ჯერ ისევ ბოგინობსო.

— რა ვიცი, ძმაო, ჩვენთან ერთ დუნდულაზე რომ გიკბინოს მანანნა, ცოფიანმა ქოფაკმა, მეორეც თუ არ მიუშვირე და მოსაგერიებლად ფეხი მოუქნიე, ვილაცის დაგეშილი და დაპურებული არასამთავრობო ჯიგრები, მთელ ქვეყანას თავზე დაიმხოზენ... ამისხენი, რატომ არიან ძალის მხარეზე? ადამიანმა რა დააშავა, ჩვენ დაცვა არ გეჭირდება?

— შენც იცი, სპეცსამსახურების განვრთნილ, ადამიანებზე დაგეშილ ძალებს, გაქცეული პატიმრების მოსაძებნად, კვალის ასაღებად ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს იყენებდნენ. ძალები ორივე მხარეს მიჰყვებოდნენ გაჭიმულ, განამებულ კოლონებს. ასე ზრდიდნენ, ადამიანის სიძულვილს ასწავლიდნენ... ჰოდა, მერე, როდესაც ამ ძალებს „სამსახურიდან“ დამსახურებულ პენსიაზე უშვებდნენ, ანუ თავიდან იცილებდნენ, თუკი სადმე დემონსტრაციას, ან ერთად მიმავალ დამწკრივებულ ადამიანებს დაინახავდნენ, ინტუიციითა და პროფესიული ჩვეულებით, ადევნებოდნენ და გვერდით მიჰყვებოდნენ ხოლმე... ახლა, განვრთნილ ძალებს განვრთნილი ადამიანი არ სჯობია? უფრო სასტიკია და რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს... აბა, ერთი მოუსმინე ამ კარგად ნაკვებ ბუღდოგებს, ერთნაირ ტონალობაზე ხმადაყენებულ აგიტატორებს, როგორ გემოდღვრავენ, კბილის პასტა ჯაგარის საიდან უნდა წასცხო, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან... ან...

— მერე, გგონია ამ „ნიტრატებით“ გაჯერებულ გრძობებზე, ადრე თუ გვიან, სამართლიანობა გამარჯვებას იზეიმებს? რად უნდათ დაპყრობა და შენს „ციხესიმაგრეებში“ გარნიზონების ჩაყენება — სადღაც დგას სახელმწიფო მანქანა, ტრადიციების ხორცსაკეპი, რომელიც ცდილობს, მსოფლიო ხალხების მრავალფეროვანი ხალიჩიდან, ერთი საერთო ფარში შეაზავოს... ფარშს ხომ კბილები არ უნდა და დედაბრის ნუნებიც მშვენივრად ამუშავებენ...

გესმის, სტივი? გამზადებულია პოლიეთილენის შესაფუთი ფუტლიარები — ტირაჟირებული პანდორას ყუთი, უფასოდ რომ გვირიგდება... მერე რა, რომ მავთულხლართებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო იყენებს, თუკი დედამინას ერთ საერთო ბანაკად აქცევ, შემოღობვა რაღამე დასჭირდება...

გამოუვით რამე? მოდი და ებრძოლე მინას, ოდნავ მოთბება თუ არა, მისი ფორებიდან უთვალავი საოცრება რომ ამოხეთქავს, მინდვრის გვერდიგვერდ ამოსული ყვავილების მრავალფეროვნებას, ხობხის ბუმბულით მოხატულ, გასაოცარი ფერებით შეზავებულ მშვენიერებას, ებრძოლე იმ ხმას, ახლა ყელიდან რომ ამოგდის.

უფალმა არაფრით დაიწყე და ეს საოცრება შექმნა.

რამდენჯერ მინდა, მე, ცოდვილმა, ეკლესიის ფილაქანზე მუხლები გადავიტყაო და შეველადად გამჩენს:

„უფალო, უფალო, გაამართლა შენმა მეექვსე დღის ექსპერიმენტმა?“

რატომ უნდათ, ყველაფერი ისევ არარაობად აქციონ.

ერთდროს გავრცელებული პოპულარული ანექლოტების გმირს არაფერი აკვირვებდა გარდა იმისა, თუ მიწისქვეშ, სტაფილოსა და ბოლოკს ვინ „კრასკამდა“. ყრუა ის მანქანა, ბოროტებას რომ თესავს და სიძულვილს ვიძიოთ:

იქ, კაროლინაში, ტერორისტების მოთარეშებულმა, პატარა, სანთლის პარპალით გაბრწყინებული ეკლესიის ზარებმა უკანასკნელად დაიგმიწეს.

საკურთხეველის წინ ჩამხობილ ერთ-ერთ მლოცველს სიკვდილის წინ სიხარულის ნამცეცი შერჩენია თვალღია პროფილზე.

(სისხლსა და ასეთ მძიმე რამე-რუმეებს მაგრად იღებენ ჰოლივუდში)!

რამ გაახარა უბედური?

ალბათ, სწორედ სულის ამოხდომის წინ გაახსენდა, რომ მვილიშვილი არ გააღვი-



და და ნირვაზე არ წამოიყვანა. გადარჩა ბავშვი!

განა ერთ ტყვიას იმას კი დაამადლებდა კოლეჯებში, ბაგა-ბაღებში, ხალხმრავალ ადგილებში, ცოფიანი სიკვდილის მთესველი? ესეც შენი აღვირახსნილი დემოკრატიის მონაპოვარი.

სისხლი. სისხლი. სისხლი.

ვინ გაიმეორებს გაოგნებული კეისრის შეკითხვას?

ღმერთო, ნუთუ შენც ველარ გვიცავ! უბრმა ლეგიონერმა გოლგოთაზე არ იცოდა, რას სწადიოდა.

ამათ იციან!.. დიდი კოლუმბიელი მწერლისათვის ჩრდილოეთიდან მოდიოდა მთელი ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციების განადგურების შიში.

ჩვენც ჩრდილოეთიდან დაძრული ნარღვის მოლოდინი გვზაფრავდა.

სხვადასხვა ეპოქაში არც აღმოსავლეთ-სამხრეთს დაუყრია ხეირი.

ახლა დასავლეთი... შენი ყელის ბუღბუღლის ხმა ის ბენვის ხიდი, რომელზეც გავედივართ და გამოვდივართ.

ფულია ადამიანი — ამ მკრეხელობის სათავე ძველ რომსა თუ საბერძნეთშია.

ჩვენ დროსაც ხომ რაღაც უნდა ეთქვა, უფრო მძიმე და შემამფოთებელი:

ფული — ღმერთია!

ვიმეორებ, ყრუა ის მანქანა, რომელიც ამ მკრეხელობას თესავს და სიძულვილს გვამკვივინებს.

კიდევ კარგი, შვილიშვილი არ წამოვიყვანეო, მაინც იკითხებოდა სისხლიან პროფილზე — იმ ადამიანის სახეზე, ვინც არ დაიჯერა ეს სამინელი, ჯოჯოხეთური ლოზუნგი, რომელმაც იცოდა, რომ ღმერთი

ღმერთია და მას დღემდე არცერთი ასიგნაცია არ მოუჭრია.

„წვიმაში ვიმსხვრევითო“, მგონი, ამა-საც შენ მღერი.

უკან, კეფისკენ გადწურული თმა და შავი კანი.

აკი გითხარი, ლუკა-ზანგოსთვის რომ შეგეხება, იფიქრებდი, სარკეში ვიყურებო.

იყო დრო, როდესაც ყველა ვერ ბედავდა ეკლესიაში სიარულს.

მე მინახავს ქაშუეთში, მარცხნივ, სვეტთან აყუდებული ზანგო.

სხვათა შორის, პაპაჩემი სოფლის მღვდელი იყო, ჩაილაპარაკა ერთხელ გვერდით ჩავლისას, თითქოს ჩემს კი არა, ვილაცის გასაგონად წარმოთქვა...

ლუკა ბებია გაზარდა.

მეც!

როცა რაღაცას ამზადებდა — მინდორში მოგროვილი გარჩეულ-გარეცხილი ბალახ-ბულახით და ვკითხავდი, რას აკეთებ-მეთქი, ვიფოფსაო, ვიფოფს ვაკეთებო.

არ ვიცი, რა იყო ეს ვიფოფი. რატომღაც ფრინველების საჭმელი მეგონა, ოღონდაც ეს ფრინველები არც მე და არც არავის გვენახა, ჩემს წარმოდგენაში ღვთის ჩიტები იყვნენ. მხოლოდ ვიფოფის საჭმელად შეუმჩნევლად რომ მოფრინდებოდნენ, დაპურდებოდნენ და მიფრინავდნენ, თვალს ეფარებოდნენ.

ეს შეკითხვა, ალბათ, ზანგოსაც დაუსვამს ბებისთვის და ასეთივე პასუხი მიუღია.

გაქრა ბავშვობა.

ზანგოც წვიმაში დაიმსხვრა მილიონ, მილიარდ ნაწილად.

მანამდე მთავარი პროკურორის თაზუნგის ბინა გაიტანეს (ასე ეძახდნენ მა-

შინ დიდ ძარცვას).

თანამემნე აგარაკზე ბრძანდებოდა, შვილებთან ერთად. მარტო ბინას ვერ ტოვებდნენ, ქალაქში მისი ლამაზი მეუღლე, ქალბატონი მერი იყო დარჩენილი.

ყველაფერი ანტიკვარი აქეთ და კარს როგორ გამოკეტავნო.

მესამე სართულის აივანზე სახურავიდან ჩავიდნენ, პატარა ძალაყინით გისოსების საყრდენები ამოყარეს.

კარი ღია იყო, გისოსების იმედით უბრალოდ მიხურული.

მთვარის შუქზე ფარანი არ დასჭირვებიათ, ზალის ავეჯი და კედლები მოათვალიერეს და საძინებელში შეიხედეს. შეაღეს მძიმე, შუშებიანი კარი. ტუალეტის მაგიდაზე დაბინდულნათურაინი ტორშერი ბჟუტავდა, თვალისთვის შეუწუხებლად ანათებდა ორსაწლიან ტახტს, ცალი მხარე რომ გაეშალათ და თხელი, ზამბის საბანაფარებული ქალი ფშვინავდა.

ქალის თეთრი მკლავები საბნის პირზე დანყობილი სპილოს ძვლებივით პრიალეზდნენ, ტორშერის შუქი თითქოს კოცნიდა უსახელო, მოკლე პენუარს, შინდისფერლაქიან თითებს, მაჯებს, მძინარეს თხელი საბანი ფეხებს შორის მოექცია და ჩამოქნილ, საკეცში მოხრილ ბარძაყზე მკრთალი, ვნების აღმძვრელი ღინლი ბზინავდა.

ქალს არ გაუგია სამი უცხო ადამიანის შესვლა.

სანოლის გვერდით ძვირფასი, უჯრებიანი ტრილიაჟი იდგა, სამკარედი სარკით. სარკის წინ ნაირნაირი ნელსაცხებლები, ფუმფულა, ბუმბულებიანი საპუდრე, იმდროისათვის იშვიათობა — ფრანგული პარფიუმერია ელაგა...

ზანგოსთან შეყოლილ ორს მაგიდის უჯრებისკენ გაექცათ თვალი.

ზანგომ კი კუთხეში მიდგმულ, უმოქმედო ანტიკვარს — ოქროსფერგარებიან ვეებერთელა საათს ჰკიდა მზერა.

ამ ანტიკვარს წესით უფრო სასტუმრო ოთახი უნდა დაემშვენებინა. მისი ადგილი და ფუნქცია არანაირად აქ, ქალბატონის ისედაც ავეჯით გადატვირთულ ოთახში, ნამდვილად არ იყო.

ვიდრე დანარჩენები მაგიდის უჯრებს ეჩალიჩებოდნენ, ზანგომ ფრთხილად, უხმაუროდ გამოსწია კაკლის ხის საათი და ხელი ზურგიდან მოუფათურა.

უკნიდან აკრულმა გლუვმა, პრიალა ფიცარმა საგულისხმო ვერაფერი „უთხრა“, სამაგიეროდ, მგრძობიარე თითებმა, შპალერგაკრულ კედელზე აღმოაჩინეს შეუმჩნეველი, ერთმტკაველიანი ზოლი. მალე, ზოლის შუაგულში, შპალერით დაფარულ საკეტს მიაგნო, რომელსაც უეჭველად ექნებოდა თავისი გასაღები.

ზანგომ საათი კიდევ უფრო გამოსწია და კედელს ფანარი მიანათა.

არ შემცდარა.

დანისპირი დაუსვა.

ჩაჭრილმა შპალერმა საიდუმლო სამალავისთვის მიაგნებინა.

იქნებ ქალის გაღვიძება არც გახდეს საჭიროო, ფანარმა „მოათვალიერა“ იქაურობა, მაგრამ გასაღებს ვერ მიაკვლია.

სავარაუდოდ, ის, შეიძლება, მერის ცომივით აფუებულ, თეთრ, ფითქვინა ძუძუებშორისაც აფარებდა თავს...

ამასობაში ორმა მძარცველმა უჯრები, თავისი ძვირფასეულობით თუ მერის სახარჯო ფულით, მთლიანად აითვისა, ხელჩანთაში მოათავსა და ახლავა მიხედა ქალს, რომელიც შეიმშენა, გვერდი იცვალა და სიციხისგან შეწუხებულმა საბანი საერთოდ მოისროლა.

დაჟინებულმა მზერამ მერი გააღვიძა.

ქურდების დანახვაზე შეჰკვივლა, შეშინებულმა ტახტის თავისკენ აიწია და მუხლისთავებზე ხელებშემოჭდობილი გაირინდა.

— გასაღები! — ხელი გაუშვირა ზანგომ.

— რა გასაღები? — იკითხა მერიმ და უნებურად თვალი გამოწეული, ანტიკვარი საათისკენ გაექცა.

— იცით, რა გასაღებიც!

მერიმ მხრები აიჩეჩა და ლამაზი თვალები გულუბრყვილო ბავშვივით მიაცეცა.

აღლომ არ უმტყუნა — ორი თითი პერანგის გულისპირში ჩაუტყურა და...





რედაქტორი

ანა ჭაბაშვილი

ანა ჭაბაშვილი — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ უფროსი რედაქტორი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში; 2000 წლიდან გამომცემლობა „ლიტერატურა“ მთავარი რედაქტორი იყო, ახლა კი, უკვე რამდენიმე წელია, მის ხელში გადის „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ არაერთი წიგნი.

— უპირველესად, ქართული თარგმანის ტრადიციაზე ვისაუბროთ.

— მას აქვთ, რაც კი არსებობს ქართული მწერლობა, ჩვენ ვთარგმნიდით უცხოურ ტექსტებს, ხან კარგად, ხანაც ცუდად და დღესაც ასე მოვდივართ. როდესაც ილია ჭავჭავაძემ 1861 წელს „ციცქარში“ დაბეჭდა თავისი ქრესტომათიული „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“, ბევრ სხვა საჭირობოტო პრობლემასთან ერთად, უპირველესად, აღძრა საკითხებიც, რა უნდა გვეთარგმნა და როგორ უნდა გვეთარგმნა, რის ცოდნა იყო იმ დროის ქართული საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ არ ჩამორჩენოდა მსოფლიო კულტურას და ყოფილიყო მისი განუყოფელი ნაწილი. რა თქმა უნდა, თარგმანის პრაქტიკა დიდი ხნით ადრე არსებობდა, ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა მთარგმნელობითი სკოლები და ძველი ებრაულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან და სხვა ენებიდან ითარგმნებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, წმინდა მამათა თხზულებები, აგიოგრაფიული და სხვა დარგების სასულიერო ლიტერატურა. შემდგომ საუკუნეებში — არაბულიდან, სპარსულიდან და სხვა ენებიდან ნამოვიდა საერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. საქართველო მსოფლიო სალიტერატურო პროცესში იყო ჩართული. მე-19 საუკუნიდან მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა უკვე ევროპული ენებიდანაც დაიწყო, ოღონდ ხშირად ბევრი რამ შუალედური — რუსული ენიდან ითარგმნებოდა, ამას კი ისტორიული გარემოებები განაპირობებდა. მაგრამ მე-20 საუკუნის განმავლობაში ნამოვიდა რამდენიმე თაობა მთარგმნელებისა, რომელთა ნაღვანითაც ქართველი მკითხველი ეცნობოდა მსოფლიო, უპირველესად კი, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ლიტერატურის კლასიკის ნიმუშებს.

დღეს, მას შემდეგ, რაც გაჩნდა სხვა ქვეყნების გაცნობისა და ენების შესწავლის შესაძლებლობა, უკვე გვყავს მთარგმნელები ისეთი ენებიდანაც, რომლებზეც ადრე ხელი ცოტა ვინმეს თუ მიუწვდებოდა: იტალიური, ესპანური, სკანდინავიური, და სხვა ენებიდანაც, ჩინური, იაპონური ენების მცოდნეებიც გაგვიჩნდა. არ უნდა გამოვრიცხოთ არც ბრწყინვალე თარგმანები ძველი კლასიკური და აღმოსავლური ენებიდან, რომელთა არაჩვეულებრივ ნიმუშებს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. დღეს უკვე მოვიდა თაობა, რომელმაც რუსული აღარ იცის და უნდა, რომ, ვთქვათ, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ბუღაკოვი და პელეგინი ქართულად წაიკითხოს. მოთხოვნილება საზოგადოებაში არსებობს.

— რა ხდება ამ სფეროში დღეს? ლიტერატურულ პრემია „საბას“ წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში ფინალისტთა რაოდენობა ყოველ ჯერზე შთამბეჭდავი ხდება. ქართულ ენაზე სულ უფრო მეტი წიგნი ითარგმნება სხვადასხვა ენიდან, თქმა რაოდენობა ხარისხს არც ამ სფეროში უზრუნველყოფს.

— პრობლემა მართლაც დიდია. ზოგადად, ჩვენს საგამომცემლო სივრცეში ქართული თარგმანების ხეცდროითი წილი (თუ საბავშვო ლიტერატურას არ ჩავთვლით) ყველა დანარჩენ დარგს აღემატება. ეს აისახება კიდევ წიგნის ბაზარზე. კონკურს „საბაზე“ შეტანილი წიგნების ეგრეთ წოდებულ „გრძელ სიაში“ ვხედავთ, თუ რა წიგნები გამოვიდა გასულ წელს, კონკურსის ყველაზე მეტი ფინალისტიც სწორედ თარგმანის ნომინაციაში ჩანს ხოლმე. საგამომცემლო პოლიტიკაში შეიმჩნევა ტენდენცია, რაც შეიძლება მეტი თარგმნონ და გამოსცენ — და სწორადაც, რადგან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი აღარ არის. მაშინ სახელმწიფო გვიჩვენებდა, რა უნდა გვეთარგმნა და რა — არა. დღეს ყველა გამომცემლობა ცდილობს, დაენიოს იმას, რასაც ათწლეულების განმავლობაში ჩამ-

ოვრჩით. და არა მარტო ის ვთარგმნით, რაც მაშინ „გამოგვრჩა“, არამედ — არ ჩამოვრჩეთ დროს და ქართველ მკითხველს ვუჩვენოთ, რა ხდება დღეს ამ დარგში „იქ“. ეს ხან წარმატებით გამოდის, ხან ნაკლებად, მაგრამ თავისთავად, ტენდენცია სწორი და კარგია. მაგრამ აქ გვაქვს ერთი დიდი პრობლემა: უცხო ენა დღეს ბევრმა იცის, ყოველ შემთხვევაში, ჰგონიათ, რომ იციან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ერთი მშობლიური და უცხო ენების ცოდნა და სხვა მთარგმნელის ოსტატობა. მთარგმნელმა ქართულიც უნდა იცოდეს და ნაწარმოების ორიგინალის ენაც, მაგრამ მთავარი აქ მათი ერთმანეთისთვის მორგებაა. ეს ბევრი არ უხერხდება. მინდა, ერთი მაგალითი მოვიყვანო. ბატონ ვახტანგ ჭელიძეს შევხვდი მისი სიცოცხ-



ლის ბოლო ხანებში. სიტყვამ მოიტანა და ვახსენეთ მის მიერ ქართულად თარგმნილი „თამაში ჭვავის ყანაში“ — მსოფლიოს მოზარდების უსაყვარლესი, საკულტო წიგნი. ქართულად 1963 წელს გამოვიდა და მაშინვე მეც და ჩემი ქართველი თანატოლებიც შევუერთდით დანარჩენი მსოფლიოს მკითხველთა და მოყვარულთა რიგებს. ბატონმა ვახტანგმა ღიმილით გაიხსენა, არ იყო ტექსტი იოლად სათარგმნელი, 50-იანების ამერიკული ჟარგონი 60-იანი წლების დასაწყისის ქართული ჟარგონით უნდა გადმოემცა, აბა, „ჯიგაროს“ ხომ არ დავწერდი, ეგ იყო მაშინდელი ქართული ჟარგონი, ჰოდა, ბუნვის ხიდზე მომიხდა გავლაო. ოსტატობაც ეგ არის-მეთქი, ვთქვი. მართლაც რაღაცნაირი ენა შექმნა სელინჯერის სწორედ ამ წიგნისათვის. და მაშინდელ ქართულ მკითხველს, რომელიც შეიძლება ამას ვერც კი ამჩნევდეს, წიგნი ამ თავისებური ენის გამოც უყვარს. 2000-იანების დასაწყისში კი ეს წიგნი მეორედ ითარგმნა. ძალიან ოსტატურად თარგმნა გია ჭუმბურიძემაც. დღევანდელი მოზარდი „ჭვავს“ ამ თარგმანით იცნობს და ძალიანაც მოსწონს. შემდეგ თამაზ ვასაძემ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეიტანა ამ ორი, სრულიად განსხვავებული მთარგმნელის მიერ თარგმნილი თხზულების ერთი და იგივე მონაკვეთი. მოსწავლეებს უნდა შეეძარებინათ და შეეფასებინათ, რა იყო ამ თარგმანებში, მათი აზრით, უკეთესი ან უარესი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი გამოვიდა. სამწუხაროდ, დღეს არ გვაქვს იმის ფუნქცია, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები რამდენჯერმე ითარგმნოს — ყველაფერი ხარჯებთანა დაკავშირებული. მაგრამ რამდენიმე წლის წინათ გვერდოდა ასეთი შემთხვევაც. დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გამოვიდა ფილოლოგ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვების“ სამი სხვადასხვა გამოცემა სხვადასხვა მთარგმნელებისა: გივი კიკილაშვილის, ვაჟა ახალაძის, მზია გელაშვილის და ანა აბუსაგიშვილისა. საინტერესოა მკითხველის აზრი, თუკი ვინმე მათ დაიდებს და შეადარებს. ზოგადი სურათი კი დღეს ასეთია: ძალიან ბევრი ადვილად ჰკიდებს ხელს ამ საქმეს და ჰგონია, გამოუვა. მაგრამ ხშირად, სამწუხაროდ, არ უხერხდე-

ბათ. უკეთეს შემთხვევაში, მათი ნამუშევრები „კეთილსინდისიერადაა“ თარგმნილი, სიტყვები სწორადაა გადმოტანილი, ტექსტი თითქოს მისდევს ორიგინალს, მაგრამ ის, რასაც „მწერლის ენის დანახვა“ ჰქვია, ძალიან ცოტას თუ შეუძლია. დიდი მწერლების ენა განსხვავდება ერთმანეთისგან და ჩვენ წიგნის ყდაზე დაუხედავად ადვილად ვარჩევთ ერთმანეთისაგან, მაგალითად, აკაკი წერეთლისა და რეზო ინანიშვილის ენას, ბუღაკოვისა და ტოლსტოის ენას. მთარგმნელის საქმე-ანობაში მთავარი სწორედ ეს არის — დაინახოს მწერლის ენა და ქართულადაც განსხვავებულად გადმოსცეს სათქმელი, ეს კი, უკეთეს შემთხვევაში, პირობითად 15 მთარგმნელს შეუძლია საქართველოში, სხვების თარგმანები მეტ-ნაკლებად ოსტატურია.

და ამასობაში გამოჩნდა მთავარი სათქმელი — მთარგმნელს მოეთხოვება, ჰქონდეს ზოგადი განათლება, ურომლისოდაც ის ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. მას აკენიდან ნაკითხული უნდა ჰქონდეს ბევრი წიგნი ქართულად, რომ გრამატიკის წესების დაუსწავლელადაც, ბუნებრივად, ინტუიციით შეეძლოს სწორად წერა და

# „ მთარგმნელმა ქართულიც უნდა იცოდეს “

მეტყველება. ბევრ მთარგმნელს ნამუშევარზე ეტყობა, რომ არ კითხულობს წიგნებს და მთელი უბედურებაც ეს არის. ადამიანმა, რომელიც პირდაპირ იწყებს „ენჯოური“ ენით, ანუ კალკებით თარგმნას, მარტო ეს ენა იცის, სხვა — არ. და გამოსდის ის, რაც გამოსდის.

— ხომ არ დაასახელებთ მთარგმნელებს, რომლებიც ავტორის ენას გრძნობენ და შეუძლიათ ტექსტები სხვადასხვანაირი ქართულით გადმოსცენ?

— რა თქმა უნდა, შემიძლია, მაგრამ ვაითუ ვინმე გამოვჩნდები. უფროსი თაობის ოსტატთაგან ასეთები არიან დავით წერეთლიანი, მანანა გიგინეიშვილი, დიდი ხანი არ არის, რაც ბაჩანა ბრეგაძე წავიდა ამ ქვეყნიდან. მათი მომდევნო თაობიდან უნდა დავასახელო ზაზა ჭილაძე, გია ჭუმბურიძე, ლევან ბერძენიშვილი, პაატა ჯავახიშვილი, მაია ბადრიძე... დღეს აღმოსავლური ენებიდან არაჩვეულებრივად თარგმნის გიორგი ლობჯანიძე. ცალკე უნდა გამოვყო თამარ ჯაფარიძე, რომელიც სწორედ ისე თარგმნის სხვადასხვა ავტორის წიგნებს, როგორც ზემოთ მოახსენეთ — სხვადასხვა ენით: მკითხველს შეუძლია, შეადაროს მისი თარგმნილი სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა სტილის ავტორების ნაწარმოებები — ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“, აზუნ-დატი როის „წერილმანების ღმერთი“, ჯონ ფაულზის „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, ირვინ უელშის „ჩხერკეთელოზა“ და მიმიხდება, რისი თქმა მინდა. ყოველ ამ მთარგმნელს გავლილი აქვს ძალიან კარგი სკოლა. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ჰყავდა საუკეთესო მასწავლებლები, ვისგანაც ისინი ამ საქმეს სწავლობდნენ. მაგალითად, ლელა დუმბაძე, რომელმაც ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი თარგმნა, მათ შორის ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“, ხშირად სიყვარულით იგონებს თამარ ერისთავს, რომელიც მთარგმნელობით კოლეგიაში ძალიან ყურადსაღებ რჩევებს აძლევდა და მწვეთს, როცა ის ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ თარგმნიდა. მკითხველი, უმბერტო ეკოს რომანების ხათუნა ცხადაძისეულ თარგმანებს რომ ეცნობა, დარწმუნებული ვარ, გაცილებით რჩება მთარგმნელის (ავტორზე არაფერს ვიტყვი) პროფესიონალიზმისა და ერუ-

დიციისაგან. მინდა, ახალი თაობის რამდენიმე მთარგმნელი გამოვყო „ანი კოსტა“ ლიანზე ვიტყვი, რომ ძალიან კარგი მოქართულეა და ეს ჩანს კიდევ მის თარგმანებში, განსაკუთრებით პოეზიისა. ახალგაზრდებისგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიკა სამუშია, რომელიც ძალიან ბევრს თარგმნის, თითქმის გამუდმებით და სულ იზრდება, როგორც მთარგმნელი. მოკლედ, ჩვენდა სასიხარულოდ, ქართული მთარგმნელობითი სკოლა განგრძობს არსებობას.

— შარშან „საბას“ ჟიურის წევრი იყავით. ჟიური ალბათ ყველაზე უკეთ ხედავს ქართული სალიტერატურო პროცესის ზოგად სურათს, მათ შორის, ვითარებას მთარგმნელობით სფეროშიც.

— დიახ, სწორედ ასეა. ლიტერატურული კონკურსი „საბა“ სარკესავით ასახავს, რა და როგორ იწერება და ითარგმნება საქართველოში. ამ ზოგად სურათს, როგორც რედაქტორი, სხვა დროსაც ვხედავ, რადგან უკვე 15 წელია, რაც სხვადასხვა ჟანრის ძალიან ბევრი წიგნი გადის ჩემს ხელში. როგორც ჟიურის წევრმა კი კონკურსის მონაწილე გამომცემლობების საერთო სახე დაგინახე, და გავიმეორებ — ტენდენცია ყველაგან ერთია.

— თქვენს ამჟამინდელ პროფესიაზე რას გვეტყობით, როგორ გახდით რედაქტორი?

— უპირველესად, იმას ვიტყობი, რომ ძალიან საჭირო პროფესიაა. მართალია, „უმაღური“ სამუშაოა, მაგრამ მიყვარს ჩემი საქმე. უმაღური-მეთქი, ვამბობ და ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველი, თუ თვითონ შეხება არ ჰქონია წიგნის გამოსაცემად მომზადებასთან, რედაქტორის ნამუშევარს ვერ ხედავს. და ვერც უნდა ხედავდეს. ორიგინალური ქართული ნაწარმოებების ავტორებსაც და მთარგმნელებსაც ძალიან გაუღიმებთ ხოლმე ბედი, თუკი კარგი რედაქტორი შეხვდებათ. არაერთი ჩემი კოლეგა მეგულება ამა თუ იმ გამომცემლობაში და პატივისცემით ვეკიდები მათ შრომას. მიმანჩია, რომ ჩემ გვერდით ძალიან კარგი რედაქტორები მუშაობენ, ნამდვილი პროფესიონალები. ყოველთვის ვითვალისწინებ მათ შენიშვნებს, ვეკითხები აზრს. მაგრამ იმისათვის, რომ პროფესიონალიზმი შეიძინოს ცაცმა რომელიმე დარგში, გაუღიმებთ უნდა სწავლდეს. მეც წლების განმავლობაში სწავლობდი ამ საქმეს და ეს დღესაც გრძელდება. ნებისმიერ საქმეში სწავლა, სკოლა, ფართო გაგებით, ყველაფერია. აქ ვგულისხმობ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას, სამეცნიერო დანერგულებებს, ოჯახს, გარემოს, მეგობრებს... თავიდანვე რედაქტორი არ ვყოფილვარ, ჯერ ხელნაწერთა ინსტიტუტში ვმუშაობდი, შემდეგ — ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ყოველ ეტაპზე საუკეთესო მასწავლებლები მყავდა, რომელთაგანაც ვისწავლე, რა არის „სიტყვა“ მისი ვიწრო თუ ფართო მნიშვნელობით, რედაქტორის საქმე კი სიტყვებად დანაწევრებული ვრცელი ტექსტია.

— სამწუხაროდ, მოვიდა თაობა, რომელიც უკვე „სხვა“ ქართულით ლაპარაკობს.

— ერთხანს საბუნებისმეტყველო ლიცეუმში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. მეუცნაურა, რომ ბავშვები ვეღარ იგებდნენ ისეთ ტექსტებს, რომლებიც ყოველ ქართველს უსწავლია სკოლაში, მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერას. შემოვინუნებდნენ — მასწავლებლებო, აბა, რა ვიცი, რას ნიშნავს „ტყრუშული ლობეევი!“. ადრე თითქოს არავის ჰქონდა ამავე ტექსტის გაგების პრობლემა. საქმე ისაა, რომ ამ თაობის მკითხველების მშობლებს არ ნაუკითხავთ, სამწუხაროდ, არაფერი. სხვათა შორის, ერთმა ახალგაზრდა მთარგმნელმა მითხრა, მიხელო ჭაბაშვილის მოგონებები წავიკითხე და ძალიან მომეწონაო, მერე კი დიდი მორიდებით დასძინა, როგორი ძველი ენააო. ეს არის-მეთქი კარგი ქართული. დაფიქრე და გავიხარე, რომ მიდის ის ენა და მოდის რაღაც სხვა. ზოგადად, ეს ენის პრობლემებია, ენის ცვლილების, რაღაცნაირი გათანამდროვების. ვერ ვიტყვი, კარგია თუ ცუდი (მართალია, მე არ მომწონს), მაგრამ ფაქტია, რომ ასეა და მორჩა.


— რაკი ქართული ენის პრობლემებს შევეხეთ, ალბათ, ბუნებრივია, თუ თანამედროვე ქართულ პროზასა და მის პრობლემებზე ვისაუბრებთ.



— ზოგიერთი ქართველი მწერლის, მათ შორის, სულ ახალგაზრდა ავტორების ტექსტები ჩემს ხელშიც გადის, თუმცა, შარშანდელმა „საბამი“, თარგმანებისა არ იყოს, თანამედროვე ქართული პროზის საერთო სურათიც დამანახავს. ნუ მინყენენ შარშანდელი მონაწილეები, არც დავასახელებ, მაგრამ საუკეთესო ნაწარმოებების გამოსავლენად დიდი არჩევანი არ გვქონია. ნელს, როგორც ვაჭყვამ, უკეთესი ვითარებაა. მაგალითად, ჩემს ხელშია გავლილი არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“, თუმცა მას, როგორც სხვა პროზაული კრებულების ავტორს, მანამდე ვიცნობდი. ეს რომანი დღევანდელი ქართული პროზის ტენდენციის ნიშნულია. საბას სხვა ფინალისტი, ცოტნე ცხვედიანი, სულ ახალი თაობის ავტორია, 24 წლისაა, ახლა დაამთავრა უნივერსიტეტი. მართალია, კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, მაგრამ „მაიაკოვსკის თეატრი“, რომელიც ჩვენმა გამოცემლობამ გამოსცა, ავტორის ნიჭი ჩანს. ამიტომ ძალიან მაინტერესებს, რას დაწერს ეს კაცი მომავალში. ახლახან მარი ბუჭაურის ვრცელი მოთხრობაც გამოვიდა „ანას მომენტი“. ინტერესით ველოდები, კიდევ რას დაწერენ. მე თვითონ მათი მკითხველი და გულმემატიკური ვარ. მაგრამ ჯერჯერობით, არავინ ჩანს ისეთი, ვინც საქართველოს ლიტერატურის ისტორიაში დარჩება. ეს დრო უნდა გვიჩვენოს. ამის ერთი ნიშანი არსებობს: მწერალი მამინ მკვიდრდება მყარად ქართულ (და არა მარტო ქართულ) ლიტერატურაში, როცა მას სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანენ. ამის მაგალითია ჯემალ ქარჩხაძე, როდესაც თამაზ ვასაძემ მისი „იგი“ (მერე უკვე სხვა მოთხრობებიც) ქრესტომათიაში შეიტანა და ეს მწერალი შევიდა ქართულ სკოლაში, ანუ, ზოგადქართველის ცნობიერებაში; ამით გაცოცხლდა ჯემალ ქარჩხაძე, როგორც მწერალი.

— ძალიან ბევრი რამ მოხდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, ნებისმიერი ქვეყნის მწერლისათვის ეს ალბათ ამოუწურავი მასალა იქნება, ჩვენთან კი, ერთი-ორ ნაწარმოებს თუ არ ჩავთვლით, ისტორია ჯეროვნად არ ასახულა ლიტერატურაში, არ დაწერილა.

— გააჩნია, საქართველოსა თუ მსოფლიო ისტორიის რომელ მონაკვეთს ვგულისხმობთ, როცა უახლეს ისტორიაზე ვლაპარაკობთ. ისტორია უახლესად მიიჩნევა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებიდან — დღემდე ერთ საუკუნეზე მეტია გასული. მწერლობაში უახლესი ისტორიის ასახვის მაგალითებად დავასახელებდი ისეთ ეპოქალურ რომანებს, როგორებიცაა: მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახოს ხიზნები“, ჭაბუა ამირჯიანის „დათა თუთაშხია“, ოთარ ჩხეიძის „ბორი-აყი“, ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელი“, ნაირა გელაშვილის „პირველი ორი სრე“... და ბევრ სხვას. ბოლო წლებში დაწერილთაგან გამოვყოფდი კოტე ჯანდიერის „გლობალიზაციას“, გელა ჩქევიანას კრებულებს ომამდელ და ომის დროინდელ სოხუმზე. „საბას“ შარშანდელმა გამარჯვებულმა ბექა ქურხულმა დაწერა რომანი „სამოთხიდან გაქცეულები“, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებულ აშშ-ებს ასახავს; აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „მოგზაურობა ყარაბაღში“ და „ობოლე“ უნდა გავიხსენოთ აუცილებლად — მოკლედ, არ არის ცოტა. ყველაფერი, რაც ხდებოდა, აღწერის ღირსია და თავის ავტორს ელის. სხვათა შორის, ახლახან ვკითხულობდი ფეისბუქზე, დიანა ანფიმიადი წერდა, როგორ მივიდა სამსახურში, ინგოროყვას ქუჩაზე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბზარებიან შენობაში, იქიდან



დაინახა კანცელარის შენობის წინ მიტინგი და იდეა გაუჩნდა — ვინმემ დაწეროს რომანი მოხუც ლექსიკოლოგზე, რომელიც მკვდარ ენაზე დაწერილი ხელნაწერის ამოკითხვას რომ ცდილობს გარეთ მიმდინარე საპროტესტო აქციის ფონზე და საქართველოს ბოლო ოცდაათი წლის ისტორიას მოჰყვეს. ძალიან მომეწონა დიანას იდეა, და საერთოდაც, რამდენიმე კაცმა რომ დაწეროს ერთი და იგივე ამბავი, ოღონდ საკუთარი თვალთახედვით, კარგი იქნებოდა. ვფიქრობ, გამორჩევა ვინმე — აუცილებლად გამოჩნდება.

— თუ შეიძლება, დაგვისახელოთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი წიგნი.

— უპირველესად, ეს არის „მსოფლიო კლასიკის“ სერიით გამოსული „ფაუსტის“ მეორე წიგნი, დავით წერეთლის მრავალწლიანი შრომის დაგვირგვინება. პირველი ტომი მკითხველმა რამდენიმე წლის წინ იხილა. ახლა ერთდროულად გამოვეცით ორივე — პირველი ტომი ხელახლა დაიბეჭდა, რადგან ბაზარზე ტირაჟი ამოწურული იყო. ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა აგრეთვე ამავე სერიით გამოსული მარსელ პრუსტის „სვანის მხარეს“ ქართულ ენაზე. პრუსტი ურთულესად სათარგმნელი ავტორია, ადვილი რომ ყოფილიყო, აქამდე ათასჯერ თარგმნიდნენ. ეს წიგნი მთარგმნელ სოფიო ბენდიაშვილისა და რედაქტორების უდიდესი ნაშრომია — შედეგი მკითხველმა შეაფასოს. სხვა პროექტებიდან გამოვყოფდი ხუთი კორტასარის ოთხტომეულს. პირველი ტომი უკვე გამოვიდა ზაფხულში, მალე მეორე დაიბეჭდება, მესამე-მეოთხეს კი წლის ბოლომდე გამოვეცემთ. ეს არის მოთხრობების სრული კრებული, რომელიც ავტორმა თვითონ შეადგინა და ტომებად გადაანაწილა. ქართულ გამოცემაში, ავტორის სურვილისამებრ, დაცულია მოთხრობების თანამედროვეობა და მათი განაწილება ტომებში. მოთხრობებს რამდენიმე მთარგმნელი ჰყავს. აქ შედის, როგორც ძველი, საბჭოთა დროს უკვე არსებული, ასევე ახალი თარგმანებაც. გვაქვს კიდევ რამდენიმე ახალი წიგნი, რომლებსაც მკითხველი მალე იხილავს წიგნის მაღაზიებში — ორჰან ფამუქის ბოლო რომანი „ნიტელთმინი ქალი“, რომელიც ნანა ჯანაშიამ თარგმნა და „ლიტერატურული ოდისეის“ სერიით გამოვა უილიამ ბეროუზის „შიშველი საუბრე“. ეს არის ურთულესი რომანი, რომლის თარგმანაც არაჩვეულებრივად გაართვა თავი ლელა ფიროსმანიშვილმა. მას სხვა წიგნებიც უთარგმნია აქამდე, მაგრამ ასეთი სირთულისა და მნიშვნელობის მხატვრულ ტექსტზე ვერ არ უმუშავია. ჩემი აზრით, წლის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარია და ამ წიგნს მომზადებული მკითხველი სჭირდება. ახლა, როგორც რედაქტორი, ვკითხულობ, ავსტრალიელი ავტორის, რიჩარდ ფლენგანის ძალიან კარგ წიგნს „ვინრო გზა შორეული ჩრდილოეთისკენ“, რომელსაც 2014 წელს მიენიჭა „ბუქერი“. მთარგმნელი გია ბერაძეა. წლის განმავლობაში „ლიტერატურული ოდისეის“ სერიით გამოვეცით უკრაინელი ავტორის, იური ანდრუშოვიჩის არაჩვეულებრივი წიგნი „მოსკოვიადა“, რომელიც რაულ ჩილაჩავამ თარგმნა, მიხეილ ანთაძის თარგმნილი ვიქტორ პულევიჩის „ჩაპაევი და სიცარიელე“, და რაც მთავარია, ცნობილი ალბანელი მწერლის, ისმაილ კადარეს „გახლეჩილი აპრილი“, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა. ესაა საუკეთესო წიგნი, რაც კი ბოლო წლებში წამიკითხავს.

ესაუბრა თამარ ჟურული

## ემზარ კვიციანიშვილი რქანითელის მტკვანი

ლიფტი

16.04.2017. ნუხელ, სანამ 12 საათი გახდებოდა, პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე მოვისმინე (სხვა კითხულობდა), როგორც სხვა დროს, ამჟამადაც უაღრესად ჭკვიანური და სულის მარგებელი. ისევ მიაქცია მრევლის ყურადღება ამპარტავნობაზე, ადამიანთა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საძრავ ცოდვაზე (თავმოყვარეობასთან არაფერი აქვს ამას საერთო). ორმა ბერმა ხელჩაკიდებული შემოიყვანა სამების საკათედრო ტაძარში. თავჩაქინდრული იდგა შავ თავსაბურველში. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს, უამრავი ხიფათი დამუქრებია. ეს მეორმოცე აღდგომა ყოფილა მისი მღვდელთმსახურების განმავლობაში. ოცი უშუალოდ მოგვილოცა, ეკლესიის მესაჭედ დამდგარმა.

დაუძლეველ დალილობას ვგრძნობდი და დასაძინებლად მივეგდე. მალე ყოველად უცნაურ სიზმარში (სიზმრების უმრავლესობა უცნაურია და არ უნდა გავიკვირდეს) ამოვყავი თავი. არაფერს ვიგონებ, ზუსტად ვყვები: დიდი, თეთრი და მალაღობი შენობის ღია სადარბაზოში შევედი და რადგან მალა მინვედა ასვლა, პირველსავე ლიფტს მივაშურე, ლილაკს თითი დავაჭირე, გავაღე კარი. უჩვეულოდ სწრაფად დაიძრა. უეცრად დიდი ხნის მოუსმინარი ხმა გავიგონე. ხელად ვიცანი. ეს იყო ჩემი ახლობელი (ბავშვობა ერთად გავვლიეთ ლანჩხუთში, გურიაში), ჩემზე ორიოდე წლით უფროსი რეზო გვარჯალაძე, პროფესიით გეოლოგი, უნაკლო ვაჟკაცი, ქერათმიანი, სასიამოვნო გარეგნობის პატრონი, ქვემოდად ამომძახა, ეგ ლიფტი ჩემი იყო. მისი ერთიანად გათეთრებული, შეწუხებული სახე უმალ თვალწინ დამიდგა. დავამშვიდე, ნუ ლელავ, ახლავე ძირს ჩამოვალ და შენ ჩაჯექი-მეთქი. კაბინა შიგნიდან უყანგავი ფოლადისა იყო, თვალს მჭრიდა, ისე პრიალებდა. მალე დავეშვი. მოღიავეულ სადარბაზოს გამოვციდი და ძებნა დავუწყე დამძახებულს. მახლობლად ორი თუ სამი კაცი იდგა, წვერმოშვებულები, ასე, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისანი — ხმა არ გაუციათ, ზედაც არ შემომხედეს. უკან მივბრუნდი, ისევ ზევით ავალ-მეთქი. ლიფტიც ალარსად ჩანდა, გამქალიყო. საშინლად შეგნუნდა. მეგონა, იმოდენი სიმძაღლეზე ჩაშენებული და უკვალოდ დაკარგული ლიფტის საფასური ჩემი გადასახდელი იქნებოდა, რასაც ვერასოდეს მოუყურები თავს. არავინ არაფერს მთხოვდა, მაგრამ ნუხილი კიდევ უფრო გამიმძაფრდა. ადგილიდან ვეღარ ვიძრდი. ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს ის ლიფტი ჩემი სამუდამო საცხოვრისი იყო და უმისოდ ნიჟარანართმულ ლოკოკინად გამოვიყურებოდი. ვშიშობდი, ჩემი სხეული ვერცხლისფერ ლორწოს არ დაეფარა და დონდლო, უძვლებო და დარჩენილი ხელ-ფეხი არ ჩამოქიდებოდა. შიშმა ოფლში გამწურა.

გვარჯალაძეების ოჯახში (ატენის ქუჩაზე ცხოვრობდნენ) ხშირად ვიმყოფებოდი და მათზე განუწყვეტლივ, უკიდურესად დანალღვიანებული ვფიქრობ. დედა რეზოს სიჭაბუკეში გარდაეცვალა, ვანელი ეკატერინე ლორთაყვანიძე, განათლებული, უსაზღვროდ კეთილი ქალბატონი, ქლექმა შეინარა. მამის დანატოვარ სახლში ცხოვრობდა — ჩვენი გამოჩენილი მსახიობისა და ფერმწერის, ჟანრი ლოლაშვილის გვერდით. მამამისი, მეორე ყოფილი ოფიცერი, რამდენადმე პირქუში შესახედაობის, ბრგე, სახუნაყვავილანი, დიდებული პიროვნება აკაკი გვარჯალაძე, საბულალტრო საქმის საფუძვლიანი მცოდნე იყო, თვე ზჭერის სამმართველოში მსახურობდა, დიდი თანამდებობა ეკავა და ყველას ხელს უმარათავდა. ჩემს უმწიფარ ლექსებს ვაკითხებდი ხოლმე და მუდამ მაქებდა, მანუგებებდა, მამამეინი გადასახლებიდან მალე დაბრუნდებოდა.

რეზო თთხმოცდაათიანი წლების ქაოსმა და ზედვე მიყოლილმა განუკითხაობამ გადაიყოლა. მას და მის ვაჟს, გეოლოგს, და სახელოვანი ბაბუის სესხიას არაფერი გაუჭირდებოდათ, ისეთ საქმეს უძღვებოდნენ, მაგრამ გაუმძაღრებმა და მტაცებლებმა ყველაფერი წაართვეს სამართალს ვერაფრით მაიღნიეს. ნერვებდანეწილი, აფორიაქებული რეზო პროსტატის გართუ-

ლებულმა ოპერაციამ იმსხვერპლა. ვაჟი გააცოფა მამის დაღუპვამ, გამწარებულმა ბეტონის კედელს მუშტი დაარტყა და თითები დაემტვრა. 39 წლისა, დაუცოლ-შვილებელი, ერთ წელიწადში მიჰყვა. მისი და, ეკა, საცხოვრებელი და სამუშაოდ მოსკოვში გადავიდა ქმარ-შვილთან ერთად. რეზოს დარჩა უკეთილშობილესი და ჭკვიანი მეუღლე რუსუდან გიორგობიანი. ძნელად თუ გაუსწორებდა თვალს ადამიანის მის უსაშველოდ ნაღვლიან გამოხედვას. მალე მათი საცხოვრებელი სახლი დაანგრეს. იქ ვევედრთვლა ორმო განწადა. რუსუდანს დაპირდნენ კარგ ბინას. ნონოლა ამწეებიც დადგეს, მშენებლობაც თითქოს ტემპიანად დაიწყო, მაგრამ ფიცრებით შემორაგვული ფართობი კარგა ხნით მიატოვეს ჩაფხუტიანმა მუშებმა. ორი წელია, ისევ განახლდა. ამბობენ, ოცდაორსართულიანი სახლი აღიმართებაო. დახუთავს იქაურობას, დაამახინჯებს ხედს. რუსიკო ათი წელი მაინც იქნება, აღარ მინახავს. ქალიშვილი და სიძე ალბათ არ დააკლებენ ყურადღებას. არ ვიცი, სად იმყოფება, ალბათ დაქორავებულ ოთახშია.

ადრე გვარჯალაძეების ოჯახს სხვა დიდი უბედურება დაატყდა. რეზოს დისწული, თხუთმეტი წლის ანგელოზი ალიკო მალულარია კუს ტბაზე დაიხრჩო, ამხანაგებთან ერთად წასული. ნავიდან ჩამხტარს ფეხებში წყალმცენარე გაებლანდა, შებოჭა. ალბათ გველად მოეჩვენა და შიშისაგან გული გაუსკდა. მალაღობი იყო, ქერა, ცისფერთვალეა, ზღაპრული შესახედავი. ამ ამბავმა ყველას თავზარი დაგვცა. ვის არ გეტყვდა წელში ასეთი საშინელება. წვერმოშვებული, სიმწრისაგან გაქვავებული ბაბუამისი ცოტა ხანში თან მიჰყვა საფიქრალი შვილიშვილს. მძინარესაც არ მავიწყებდა ეს და სხვა უბედურებანი, რისი მომსწრე და მხილველიც ჩემმა გაუხარებლმა ცხოვრებამ გამხადა.

ნუხელისაც აუტანლად ვიტანჯებოდი. პირქვედამბოხილი, უილაჯო მივხობდი გათენებამდე. კიდევ კარგი, აღარ წვიმს. ცაზე ღრუბელი არ ჩანს, მოყვითალო, თითბერისფერი ბუე აქვს გადაკრული. მზე ჯერ არ ამოცურებულა. სადაცაა გამოჩნდება მოტივტვლებული მახათას მხრიდან, პატარა, შავი ანძის მახლობლად, გაანათებს ადღგომის კვირას. მოთვეთილი ვარ. თვალს როცა ვახელებდი, სახეზე ჩემი ბრიტანული კატის ფაფუკი კუდი მომელამუნა. ჭკვიანია, ტყუულად არ მომადგებოდა, მოშიებული იქნება. ჩემს გამოღვიძებას ელოდებოდა. ბუბუმ არც ისე სასიამოვნო, მაგრამ მაინც აუცილებელ სინამდვილესთან მიმბარუნა, კომპარული სიზმრის ჩაბნელებულ საკნიდან გამომიყვანა. როგორ არ ვიყო მისი მადლიერი, თუმცა ზოგჯერ ვემდური კიდევაც. ჩემს დაჯორგილ მაგიდაზე ამხტარი და ნებიერად გაკოვრიილადული, თათს ნაკრავს ხოლმე ნიგნებსა და რვეულსებს, ძირს პარტყა-პურტყით ყრის. მათი დაცემის ხმა თითონვე აფრთხობს და დაფეთებული გარბის თავისი შეგულელებული სამალავისკენ.

სავარჯიმოდ ადგომა მეზარება. ტელევიზორის ჩართვაც (ჩემ საყვარელ „Mezzo“-ზე მაქვს დაყენებული) არ მინდა. ახლა საათის ისარი ექვსზეა მიბჯენილი. სასიკეთოს, ღირებულს, დღესაც ვერაფერს ვაკეთებ. ეს კია, ლიფტს კარგახანს არ მივეკარები...

ლიფტმა ცხონებული გივი ძნელადე გამახსენა, დიდად საყვარელი კაცი და პოეტი. კლაუსტროფობიით იყო შეპყრობილი — დახურულ, შემოზღუდულ ადგილას სული ეხუთებოდა. ლიფტში არასდროს არ ჩაჯდებოდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ვერავინ შეიტყუა ვერც ვინრო და ვერც ფართო კაბინაში; მესაც სართულზეც რომ ყოფილიყო ასასველელი, ჩაკურთხებული და ზონზროხა, კიბეებს ფეხით აუყვებოდა. დუნეს და მოუქნელს, გასაოცრად ცოცხალი გონება ჰქონდა: ისე მარჯვედ იხუმრებდა ვინმეზე ან რამეზე (ორსტრიქონილ ლექსად ნამოისროდა), სიცოცხლე ვერ შეიკავებდი: მისი სხარტული ნათქვამი ექსპრომტები ზეპირად ვიცი. გივიზედაც ბევრი მაქვს გასახსენებელი და ალბათ ამისთვისაც მოვიცლი. მოგონებების გარდა, დრომ რომ ვერ გაცრიცა, აღარაფერი დამრჩენია.



**ლიტერატურულ პრემია „საბას“ სამი ყველაზე მღელვარე ფაზა აქვს: პირველი — ცხადდება კონკურსი და ქვეყნდება ეგრეთ წოდებული გრძელი სია; მეორე — საზოგადოება იგებს ფინალისტთა ვინაობას; მესამე — ვლინდება გამარჯვებულები.**

სამივე ფაზას განსაკუთრებული ვნებათაღელვა მოყვება ხოლმე. ქართული ლიტერატურა განსჯის, სჯა-ბაასის, განხილვის საგანი ხდება. აზრს გამოთქვამს ყველა — რიგითი მკითხველი დაწყებული, ლიტერატურათმცოდნეებით დამთავრებული. „საბას“ თხუთმეტწლიან ისტორიას თითქმის არ ახსოვს მშვიდი ფაზები — თავდაპირველად წარდგენილ ნიგნებზე მსჯელობენ; შემდეგ ფინალისტებს განიკითხავენ და კბილს ჟიურის ბოლო დღემდე უცნობ ნევრებს ნაკრავენ ხოლმე; საბოლოოდ კი, გამარჯვებულების ავ-კარგაინობასა და ობიექტურ-სუბიექტურობაზე იმდენს კამათობენ, ადვილი მისახვედრია — ლიტერატურული პრემია „საბა“ მართლაც უმნიშვნელოვანეს მოვლენად დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში.

## უჩვეულოდ მშვიდი „საბა“...



30 სექტემბერს „საბამ“ პროზაიკოსებს, პოეტებს, დრამატურგებს, მთარგმნელებს, კრიტიკოსებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანებსა და ჟურნალისტებს ძველ თბილისში, ქარვასლაში მოუყარა თავი. უჩვეულოდ მყუდრო და, ამავდროულად, საზეიმო გარემოში პირველსავე წუთიდან მოხიბლა სტუმრები. როგორც მოგვიანებით სოციალურ ქსელში აღნიშნეს — ძალიან „მოუხდა“ „საბა“ ქარვასლას...

ზოგადად, „საბას“ ჟიური დაჯილდოების ცრემლიანად უცნობია ხოლმე, თუმცა წელს მოვლენები უცნაურად განვითარდა — როგორც ერთ-ერთმა ახალგაზრდა ლიტერატორმა იხუმრა, ტაქსის მძღოლებმაც კი იცოდნენ, ვინ იყო ის ხუთი ადამიანი, 2016 წლის საუკეთესო ნიგნები რომ უნდა გამოეველინა და „საბას“ რჩეულად დაესახელებინა. როგორც ჩანს, მავანი იმ ნიგნის პერსონაჟს „ტყავში შეძვრნენ“, დეტექტიურ ფანტას რომ განეკუთვნება და კვანძის გახსნა მხოლოდ ყოვლისშემძლე გმირს შეუძლია — სამოქმედო გეგმავს სახავს და მარტოდმარტო მოქმედებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მოულოდნელობა არ ყოფილა, როცა რატი ამალაბოელმა წარადგინა: ლიტერატურათმცოდნე ივანე ამირხანაშვილი, პოეტი დიანა ანფიმიაძი, დრამატურგი ლაშა ბულაძე, მთარგმნელი ნათია მიქელაძე და მწერალი გურამ ოდიშარია. „საბას“ წლევეანდელი ჟიურის ნევრების სასახელოდ უნდა ითქვას — მიუხედავად იმისა, რომ მათი ვინაობა დაჯილდოების ცერემონიაზე ბევრად ადრე იყო ცნობილი, პრინციპული იყვნენ გადაწყვეტილების მიღებისას და ის, რაც საქართველოში არც ისე იოლია, არ მოექცნენ საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ — ობიექტური სუბიექტურობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ბოლო წუთამდე არავინ იცოდა, უკვე ცნობილი ჟიური, რომელ ნომინაციაში ვის მიიჩნევდა საუკეთესოდ.

როგორც ეს მესამე ფაზის — გამარჯვებულების გამოვლენა — დასაწყისს სჩვევია, ბევრი ვარაუდი გამოითქვა. ყვე-

ლას თავისი ფავორიტი ყავდა. ასე რომ, „საბას“ დაჯილდოების ცერემონიის დაწყებას ლიტერატურით „შეპყრობილი“ მოუთმენლად ელოდნენ.

„საბა“ გადაეცა: ნანა ტრაპაიძეს („ლიტერატურა და ლიტერატურა“. გამომცემლობა „კალმოსანი“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა; ლევან ბერძენიშვილს („ნიგნიერების ევოლუცია“. გამომცემლობა „არტანუჯი“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა; ანდრო ბუაჩიძესა („გაზაფხული მოდის ღამეში“) და ლუკა ბაქანიძეს („სად ხარ, ლაზარე!“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო ელექტრონული ნიგნი. საგამომცემლო სახლის — პალიტრა L — ინიციატივით, saba.com.ge-ზე გამოქვეყნებული გამარჯვებულთა ელექტრონული ნიგნები მალე ბეჭდურად გამოიცემა; ბექა ახალაიასა („ამ ვალ-მობილი ფოთლებისთვის“. გამომცემლობა „ინტელექტი“) და ზურაბ აბაშიძეს („როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი“. გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო დებიუტი. ამათგან პირველი საუკეთესოდ ჟიური მიიჩნია, მეორე კი, ხმათა უმრავლესობით, ხალხის რჩეული გახდა; ლაშა თაბუკაშვილს („სადღაც, ცისარტყელას მიღმა...“ გამომცემლობა „ინტელექტი“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო პიესა; ხათუნა ცხადაძეს (უმბერტო ეკოს „ფუკოს ქანქარა“. გამომცემლობა „დიოგენე“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო თარგმანი; სიბილა ჰაინცეს (ანა კორაია-სამადაშვილის „ვინ მოკლა ჩაიკა“) ნომინაციაში — ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი; რუსუდან რუხაძეს („ერთი თქვენგანი გამცემს“. გამომცემლობა „ინტელექტი“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო პროზაული კრებული; ვახტანგ ჯავახაძეს („ელეგია და სხვა“. გამომცემლობა „ინტელექტი“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო პოეტური კრებული; ალექო შულაძეს („გადამალვა“. გამომცემლობა „დიოგენე“) ნომინაციაში — წლის საუკეთესო რომანი; ლია სტურუას ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

„საბამ“ 2016 წლის ლიტერატურული „მოსავალი აიღო“ და 13 რჩეული წარუდგინა საზოგადოებას. ახლა ჯერი მკითხველზეა.

**P.S.** წლევეანდელი „საბას“ მესამე ფაზა — გამარჯვებულთა გამოვლენა — გასაკვირად მშვიდი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, უმეტესწილად, ჟიურის ნევრთა და მკითხველთა ლიტერატურული გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა. ასეთი რამ იშვიათად ხდება ხოლმე... 2017 წლის შემოდგომის ერთ გრილ საღამოს, ძველ თბილისში, ალბათ, განსაკუთრებულად გამორჩეული „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა...



**ლიტერატურული გაზეთი**  
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
 9 772346 794004